[სოც]იალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 10 სექტემბერი [illegible]

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

[...] ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ღირს 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ [...] უნდა გამოგზავნონ: ტფილისი, [...] ქ. 199. Редакция „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).
ტელეფონი 16—62.

№ 193 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 193

უბედური დედ მამა ნიკოლოზ ლუარსაბის ძე და ბარბარე გრიგოლის ასული თუშაბრამაშვილები, ძმა ზაქარია ნიკოლოზის ძე და ძმისცოლი მარგალიტა ანტონის ასული თუშაბრამაშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 8 ამა ენკენისთვეს მათ უეცრათ გარდაიცვალათ საყვარელესი მეშვიდე ქართულ მსროლელი პოლკის პაწია აფიცერი პორუჩიკი

**ლუარსაბ (ლუა) ნიკოლოზის ძე თუშაბრამაშვილი.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე მეორე თუმანოვის ქუჩა № 11. გამოსვენება ხუთშაბათს ბინიდან 12 ენკენისთვეს დილის 10 საათზე (ახალი დროით) ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში და დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

## [გე]რმანიის მიერ ზავისაკენ მოწოდება

[ყო]ველაფერს თავისი დასასრული აქვს, [მსო]ფლიო ომიც ადრე თუ გვიან უნდა [დამთ]ავრდეს. იმპერიალისტების დაპყრობი[თი] პოლიტიკა კაცობრიობის ეკონომი[ურ] და სულიერ კულტურას ვერ ინაც[...]ლებს და მასაც ბოლო უნდა მოეღოს. საერთაშორისო დემოკრატია ბურჟუ[აზი]ული ბრჭყალებიდან თავისუფლდება, მიმდინარე ომს, რაც დრო გადის, [...]ის თვალ-ით უცქერის, აშკარათ ითვა[ლი]სწინებს მის დამღუპველობას.

[...]დღეს არაჩვეულებრივ ომში მთელი [...]ხი იღებს მონაწილეობას. მეომარ [სა]ხელმწიფოების ყოველი ფიზიკური და [სუ]ლიერი ძალაა ჩათრეული და ეს გა[რე]მოება კი მომასწავებელია იმისი, რომ [კა]პიტალისტების მიერ დაწყებული მსოფლიო ომი თვით ხალხმა უნდა გაათა[ვო]ს. რასაკვირველია, იმ სახით კი არა, [რა] სახითაც ეს მოიმოქმედის რუსეთის [ბო]ლშევიკ. ვინაიდან ევროპის პროლეტ. [და] საზოგადოთ მუშათა კლასმა კარგათ [იც]ის, რომ ბოლშევიკური გზით მსოფლიო [ო]მი არ გათავდება, ამ გზით იგი დემო[კ]რატიულ ზავს ვერ ჩამოაგდებს. პირიქით [ი]გი ომს პერმანენტიულათ გახდის და [ი]მპერიალისტებს გააძლიერებს.

[...] დემოკრატიის შეგნებული მოძრაობა, [...]მის საშინელების გათვალისწინება და [...]მის მიხედვით თავ-თავიანთ მთავრობა[ზე] გავლენის მოხდენა—მთავარი საშუა[ლ]ებაა, რომლის მეოხებით იმპერიალის[ტ]ური კლასების დაპყრობითი მადა [სა]გრძნობლათ შეიკვეცება და მით წარ[მ]ოუდგენელ ომს ბოლო მოეღება.

მეომარ სახელმწიფოების კაპიტა[ლ]ისტთა კლასების პოლიტიკას თავი[და]ნვე ეწინააღმდეგება მეორე—პროლე[ტ]არული პოლიტიკა, რომელიც პრინცი[პ]იალურათ წინააღმდეგია ყოველგვარ [დ]აპყრობა-დამონების. მან კარგათ [ი]ცის, რომ დაპყრობითი პოლიტიკის გა[მ]არჯვების დროს გამარჯვებულ სახელ[მ]წიფოების მუშათა კლასი ბევრს ვერა[ფ]ერს მოიგებს. შინ რეაქცია და ბურ[ჟ]უაზიული კლასების ბატონობა გაძლი[ე]რდება. ეს კარგათ იცის საერთაშორი[ს]ო დემოკრატიამ და ამიტომაც არის [ი]გი უანექსიო, უკონტრიბუციო, ერთა [თ]ვითგამორკვევის პრინციპზე აშენებულ ზავს მოითხოვს.

დაპყრობა და დამონავება ბურჟუაზიის სურვილია და ამ ომს მიზნათაც ეს დაუდვეს, მაგრამ დემოკრატია იმდენათ ძლიერი არ გამოდგა, რომ იმპერიალისტების ასეთი მისწრაფება თავიდანვე ჩაეხშოთ და მსოფლიო ომი შეუძლებელი გაეხადა. ამ ორ მიმდინარეობათა შორის დღიდან ომის დაწყებისა საარსებო ბრძოლა დაიწყო და მეორე ტენდენცია თანდათან მტკიცდება და ფართო მასაში პოპულიარული ხდება. მით უმეტეს, რომ როგორც ძალთა განწყობილებიდან ირკვევა, ვერც ერთი კოალიცია, ვერც გერმანია და ვერც ინგლისი ისე ვერ გაიმარჯვებს, რომ რომელიმე მათგანს სრული გამარჯვება წილად ხვდეს და თავისი ჰეგემონია გამოაცხადოს. ამას ორსავე მხრივ უფრო მეტი ძალების დახარჯვა და ომის გახანგრძლივება სჭირია, უკანასკნელი გზა კი მეტად სახიფათოა და ბურჟუაზიული წყობილებისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ევროპის და საზოგადოთ მეომარ სახელმწიფოების ბურჟუაზიული კლასები იმდენათ ჩახედულები არიან ცხოვრებაში, რომ ამ საშუალებას ისინი ფრთხილათ ექცევიან და პროლეტარიატის შიშის გამო საგარეო საქმეში და საზოგადოთ ომის პოლიტიკაში დათმობის და კომპრომისების გზას უნდა დაადგენ.

დღევანდლამდე გერმანიის იმპერიალისტურ კლასების მთავრობას ასეთი გაბედული ზავის პირობები არ წამოუყენებია. იგი საქვეყნოთ აღიარებს, რომ დასავლეთისაკენ არ უნდა არც კონტრიბუცია და არც ანექსია. დანარჩენ მხარეს იმპერიალისტურ პოლიტიკაზე ხელს არ იღებს და ასეთ პირობებში მზათაა სამშვიდობო კონფერენციაზე წარსდგეს და ზავის პირობები შეიმუშავონ.

ჩვენ არ ვიცით, რამდენათ მართალია გერმანიის ასეთი ზავის პირობები და რამდენათ იგი გულწრფელია ასეთ პირობებში მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის. მხოლოდ ერთი რამ კი ეჭვს გარეშეა: იმპერიალისტური სახელმწიფოები, კულტურული ქვეყნები ერთმანეთს ვერ მოსპობენ, იმის გულისათვის, რომ მათ ერთმანეთს რაიმე ტერიტორია ჩამოაჭრან და ერთმანეთის ხარჯზე გაძლიერდენ. მათ სხვა გზა აქვთ თავიანთ იმპერიალისტური პოლიტიკის დასაკმაყოფილებლათ. უკვე ფაქტია, რომ ორივე კოალიცია განუვითარებელ სახელმწიფოებს შეესივნენ და გვარიანი გემრიელი ლუკმები ჩაიგდეს. ასე რომ ერთმანეთის განადგურებაზე ხელს აიღებენ.

მით უმეტეს, რომ ორივე კოალიციის მუშათა კლასი, როგორც უკვე ავღნიშნევით, უკვე საკმარისათ უკმაყოფილოა არსებულ ომის და ისინი მედგრად პროტესტს აცხადებენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატების მარჯვენა ფრთამ შეიდემანის მეთაურობით სამხედრო ბიუჯეტს ჩვეულებისამებრ მხარი არ დაუჭირა და თავი შეიკავა. საზოგადოთ გერმანიაში დემოკრატია ომის დიდი წინააღმდეგია, პრესაში და რეიხსტაგში დიდ უკმაყოფილებას აცხადებს.

მათ ეხმაურება საფრანგეთ-ინგლისის ჭეშმარიტი დემოკრატია. ომის გათავების სურვილი მტკიცე ნიადაგს პოულობს. ხალხის სამართლიან მოთხოვნას იმპერიალისტები ანგარიშს უწევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ლედებურმა რეიხსტაგის კათედრიდან საგარეო პოლიტიკის გარჩევის დროს სთქვა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს დიდი კატასტროფა მოელით.

დემოკრატია თავს ვერ გაინადგურებს იმპერიალისტების გულისათვის, კაცობრიობის ნივთიერ და სულიერ კულტურას ვერ მოსპობს, ვინაიდან ამ კულტურის შემქნელი თვით ხალხია და ამის არსებობაში თვით ხალხია დაინტერესებული.

შემცდარია ზოგიერთების შეხედულება, თითქოს იმპერიალისტები დღესდღეობით თავიანთ სრულ გამარჯვებას დღესასწაულობდენ და მშრომელი კლასები მთლათ შებოჭვილები იყვნენ. მან ამ ოთხი წლის განმავლობაში საკმარისათ იგემა მსოფლიო ომის სიდუხჭირე და მისი სივაგლახე. თუ დემოკრატია და მისი შემოქმედებითი ძალა მოისპობა, მოისპობა თვით ის კლასიც, რომელიც მის საწარმოვო ძალაზეა, დაყრდნობილი.

დადგა დრო, როცა მსოფლიო ომს ბოლო უნდა მოეღოს. გერმანიისა და მოწინააღმდეგე კოალიციის იმპერიალისტები შეიბოჭნენ.

## ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა

როგორც მთლიანი პოლიტიკური ერთეული ამიერ-კავკასია დაშლისაგან ვერ იხსნა ვერც რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა, ვერც ამ ორგანიზაციების ცენტრმა, ვერც სეიმმა.

როგორც სჩანს, მიზეზი მეტად ღრმა ყოფილა და როცა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობას დაუსახავს მიზნათ „სოგორის" მეთაურობით დაშლილის გამრთელება, ჩვენ ეჭვი გვებადება: რაც ვერ შესძლო პოლიტიკურმა ცენტრმა, მით უმეტეს ვერ შესძლებს ისეთი ცენტრი, რომელიც პოლიტიკას ნაკლებ უნდა აწარმოებდეს.

შეიძლება სთქვან: ამით ჩვენ გვსურს საძირკველი ჩავუყაროთ გაერთიანების საქმესო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ვიქნებით საფუძვლის შენებას შევუდგეთ, პირიქით—პირველს ქვას ამ საძირკვლის ამოსაყვანათ ჩვენ მივიტანთ, მაგრამ იმ სახით საფუძვლის შენება, როგორიც ახლა ხდება, ჩვენ არ მიგვაჩნია საიმედო საქმეთ.

ყრილობაზე არ გამოცხადებულა აზერბეიჯანის რესპუბლიკის ქალაქთაგან არც ერთი წარმომადგენელი, სომხეთის რესპუბლიკიდან კი არის მხოლოდ ერევნის წარმომადგენელი. დანარჩენი წარმომადგენელნი არიან საქართველოს რესპუბლიკიდან. ყრილობას კი სახელად უწოდეს ამიერ-კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობა!

ჩვენის აზრით, ყრილობა შემცდარ გზას დაადგა, როცა უარყო ქუთაისის ქალაქის თავის წინადადება, რომ ყრილობა ყოფილიყო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა ყრილობა. თუ სასურველი იყო, რომ ყრილობას გადამწყვეტი ხმა ქონებოდა, ყრილობა აგრე უნდა მოქცეულიყო. თუ ასეთი მოსაზრება მისაღები არ იყო ყრილობისთვის, თუ ყრილობას მაინც სურდა ამიერ-კავკასიის ფარგლებში მოქმედება, უნდა მიეღო ბ-ნ იაჯჯიანის წინადადება, რომ ყრილობას ჰქონოდა მხოლოდ სათათბირო ხასიათი!

არც ერთი ამ წინადადებათაგანი ყრილობამ არ მიიღო, არ ვიცით რა საბუთით, და თავი ამიერ-კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობათ გამოაცხადა!

გაერთიანების საქმეში ეს პირველი შემცდარი ნაბიჯია გადადგმული.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამიერ-კავკასიაში საქართველოს ძალდატანებაზე ლაპარაკობდენ. ეს იყო პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებში.

ჩვენ არ გვაქვს იმის იმედი, რომ საქართველოს ქალაქთა წარმომადგენლების დადგენილებანი ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებმა სავალდებულოთ მიიჩნიონ, სააგიტაციო მასალა კი ბევრი ექნებათ—საქართველოს რესპუბლიკა სხვა რესპუბლიკებზე მუნიციპალურ სფეროში ძალადობას სჩადისო!

ამიტომ, ჩვენის აზრით, ჯერ უნდა მოხდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ქალაქების ცალკე გაერთიანება, შემდეგ შეიძლება მუშაობის დაწყება ამ ქალაქების საერთოდ გაერთიანების შესახებ.

## პრესა

ბ-ნი ის. „შრომის" ფურცლებზე სალაპარაკო საგანი მიეცა. ჩვენ მას ზოგიერთ მოვლენების ახსნა დავუწუნეთ: მაგ. ის, რომ „შრომის" ამ ბრძენ ავტორს სურს გლეხთა აჯანყებებში ს. დ. პარტია გახადოს ბრალდებული, თუმცა იცის, რომ დამნაშავე ამ აჯანყებაში იყო შეუგნებლობა გლეხების, რომლითაც ისარგებლეს უპასუხისმგებლო პირებმა.

მაშ, რა ყოფილა ჩვენი ბრალი? ის, რომ ნიკოლოზის რეჟიმის დროს ვერ შევსძელით ყველგან ხალხის განვითარება თუნდ იმ სიმაღლეზე აგვეყვანა, რა დონეზედაც გურიის გლეხობა სდგას დღეს?

მერე ეს ჩვენი ბრალია, თუ თვითმპყრობელობის. რუსეთში მაგ. გლეხობაში, როგორც დამფუძნებელი კრების არჩევნებმა აღმოაჩინა, სოც.-რევ. ჰქონდა უდიდესი გავლენა, მაგრამ, აბა, რომელი ჭკუათამყოფილი დააბრალებს ამ პარტიას იმ ამბებს, რომელთაც ბოლშევიკობის ბატონობის ხანაში ჰქონდა ადგილი?

და თუ იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც ჩვენთან კონტაქტში მუშაობს, ასეთ, მეტი რომ არა ვთქვათ „მოუფიქრებელ", ბრალდებას ისვრის ჩვენს წინააღმდეგ, რა უნდა ვუწოდოთ ასეთ მოქმედებას?

წინანდელ პრესაში ჩვენ ეს ვამხილეთ, გვეგონა ამის შემდეგ მაინც ბ. ის. უფრო გონივრულად მოიქცეოდა. ის კი ამ ბრალდებებს კვლავ იმეორებს. რაღა უნდა ვთქვათ ასეთ ჯიუტობაზე? ეს უკვე აღარ არის მოუფიქრებლობის შედეგი. ეს განზრახ მოპირდაპირისთვის ცილის დაწამებაა.

ბ. ისს წარმოუდგენია, რომ ჩვენ მისი პიროვნება გვყავს სახეში, როცა მას ვეკამათებით. ამიტომ მოყავს მაგალითები თქვენ ასე ებრძოდით გომართელს, ზდანოვიჩს, კ. აბაშიძეს და სხვებსო უნდა დავარწმუნოთ ბ. ის., რომ ჩვენ ვებრძოდით ამ პირთა საზოგადო მოღვაწეობას, მაგრამ არასოდეს მათ პირადობას. და ამ ბრძოლაში ჩვენ მთელი შეგნებული დემოკრატ. გვიჭერდა მხარს.

თქვენი კამათი მათ წინააღმდეგ დაბალი ხარისხის იყოო, სწერს ბ. ის., ეს ახლად მოვლენილი ისტორიკოსი.

ჩვენ ვანდობთ მკითხველს გადაათვალიეროს ბ. ის—ის წერილები „შრომა"-ში და დააფასოს, რამდენათ მაღალი ღირსებისაა ეს ნაწარმოები და აქვს თუ არა ამის ავტორს უფლება სხვისი წერილების ღირსებაზე ილაპარაკოს. ჩვენ ამაზე წერას არ გამოვუდგებით.

ჩვენ მას დავუყენეთ საკითხი: თუ ჩვენ ბრალი იყო აჯანყებები მთებში, რა[illegible] და სწორედ იქ, სადაც ს.-დემ. უდიდესი გავლენა ჰქონდა და დიდი ხნის ნამუშევარიც მიუძღოდა?

ბ. ის—ი ამ კითხვას გვერდს უვლის და წილადობილას ყვება,—ერთხელ ტრიბუნიდან ჩამომაგდეს და ს.-დ. პროპაგანდისტმა დახმარება არ გამიწია, კიტა აბაშიძეს და ზდანოვიჩს ებრძოდით, ჩემს წერილს ბალღური ნაწარმოები უწოდეთო. და აქედან დაასკვნის: ჩემს პიროვნებას ლანძღავთო.

უნდა განვუმარტოთ ამ მწერალს, რომ ჩვენ დავაფასეთ მისი აზროვნების ნაყოფი და თუ მას ვინმე არა ბალღურს, არამედ სერიოზულს უწოდებს, მან გამამტყუნოს. ხოლო თვით ბ. ის. კი ყვარებია კერძო პირებისთვის ხელის წამოკვრა,—თორემ ჩვენი პრესის საპასუხოთ კ. ნ—ძის მოყვანა და მისი გალანძღვა: „უშვერი სიტყვებით ლაპარაკობსო"—რა შუაში იყო? განა პიროვნების კულტს იმიტომ აღიარებთ, რომ პიროვნება ასე უდიერათ მოიხსენიოთ?

მაგრამ ბ. ისს არა თუ სხვისი პიროვნების, სხვისი აზრების პატივისცემაც არ აქვს. სხვისი აზრების გადამახინჯებაც მას ხელობათ გაუხდია. ამას მაგალითი მისი წერილი „პრესის მაგიერი" („შრომა", № 24) იძლევა.

ჩვენ ვწერდით ესერებზე: „ეს პარტია ერთგვარ კონტაქტს ადგია სოც.-დემოკრატიასთან. ეს გარემოება კი მოითხოვს „მოკონტაქტე" პარტიის კრიტიკას მეტის სერიოზულობით მოეპყრას".

ამ რიგათ, ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ შორის არის ერთგვარი კონტაქტი და არა სრული კონტაქტი. და ეს გარემოება მოითხოვს სერიოზულ კრიტიკას, და არა უკრიტიკოთ ყოველივეს მიღებას. ჩვენ ვგრძნობდით ბრაზიან კრიტიკანობას. ახლა ვიკითხოთ: რას ნიშნავს ეს „ერთგვარი კონტაქტი" და სერიოზული კრიტიკა ბ. ისის აზრით? აი მისი სიტყვები:

„ს.-დ. „ერთობა" გვეუბნება: თქვენ წარმომადგენელი გყავთ ჩვენს მთავრობაში, ამიტომ ყველა ჩვენი ნაბიჯები უნდა უსიტყვოთ გაიზიაროთო".

ბ. ისისთვის შეიძლება სერიოზული კრიტიკის მოთხოვნა უსიტყვოთ დათანხმების მოთხოვნა იყოს, რადგან მას, როგორც სჩანს, სერიოზული კრიტიკა არ ეხერხება. მაგრამ „ს.-რ. ცენტრალურ ორგანოს კი მოეთხოვება, რომ სერიოზულ კრიტიკას არჩევდეს ბ. ისის კრიტიკანობისაგან.

ბ. ისი თავისთავად არც გახდებოდა საგანი ჩვენის ყურადღების, ვინაიდან მისი მოყვანილი ბრალდებები ჩვენ მკითხველს ათასჯერ სმენია სხვადასხვა ჯურის ჩვენი მოწინააღმდეგისაგან, „ივერიიდან" დაწყებული და „ცნ. ფურცლით" და მისი მემკვიდრეებით დათავებული, მაგრამ მათი საფუძვლიანობა არასოდეს არ გაუზიარებია, ათასჯერ გადაღეჭილის განმეორება კი მკითხველს მხოლოდ დაუხასიათებს თვით დამწერს და არა ს.-დ. პარტიას.

ვიმეორებთ, წინეთაც და ახლაც ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას ამ წერილს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სოც. რევ. ცენტრალურ ორგანოშია დაბეჭდილი. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ პარტიას და არა ბ. ისს. ამიტომ ჩვენ გვაინტერესებს პარტიის ან რედაქციის პასუხი და არა ბ. ისის.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

**6 სექტემბრის სხდომა.**

(დასასრული)

**კანონ-პროექტი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების შესახებ.**

მომხსენებელია შ. მიქელაძე (ს. ფ.) იმ დღესვე, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ეროვნულმა საბჭომ თავის აქტის მე 7 მუხლში აღნიშნა, რომ ეროვნული საბჭო შევსებულ უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. სამწუხაროდ ამის ცხოვრებაში გატარება მეტის მეტად დაგვიანდა. მიზეზი დაგვიანებისა იყო მოქალაქეობის კანონის უქონლობა. დღეს ჩვენ [illegible] შეიძლება ავიყვანოთ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი ეროვნულ საბჭოში, კანონ პროექტში ორი უმთავრესი მუხლია: რამდენ მოქალაქეს შეუძლია ერთი წარმომადგენლის გამოგზავნა და რომელ დაწესებულებებიდან შეიძლება მოწვევა. კომისიას არ ქონდა უტყუარი სტატისტიკური ცნობები ახალ საქართველოში მცხოვრებთა შესახებ. იყო ცნობები მხოლოდ ძველ საქართველოში, ე. ი. 1914 წ. ომამდე საქართველოს საზღვრებში მცხოვრებთა შესახებ. ამ ცნობების მიხედვით საქართველოში ცხოვრობენ: სომხები—200.000 ცოტა მეტი, თათრები 85,000, აფხაზები 60,000, ოსები 45,000, რუსები 100 ათასი. კომისიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ რუსების მრავალი სოფლები აიყარა და რუსეთში წავიდა, ვინც დარჩა, ისინიც ყველა არ სცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას და რუსეთის მოქალაქეებათ თვლიან თავიანთ თავს, ამიტომ კომისიამ დაადგინა იანგარიშოს რუსები 45—50 ათასი კაცი, მეტრათ სამანდატო კომისიამ მიიღო 20 ათასი მცხოვრები, არიან ისეთი ერებიც, რომელნიც 20 ათასზე ნაკლები არიან, ამ შემთხვევაში კომისიამ დაადგინა მათაც მიეცეთ ერთი წარმომადგენლის გამოგზავნის უფლება. ასეთები არიან ბერძნები, გერმანელები და ებრაელები. ამ რიგათ კომისიამ დაადგინა ეროვნულ უმცირესობათ ეროვნულ საბჭოში მიეცეთ შემდეგი წარმომადგენლობა: სომხებს 10, თათრებს 4, აფხაზებს 3, რუსებს 2, ქართველ ებრაელებს 2, ებრაელებს 1, გერმანელებს 1, ბერძნებს 1.

ეს წარმომადგენლები მოწვეულ იქნებიან ეროვნულ საბჭოებიდან, თუ რომელიმე ერს საბჭო არ ყავს, მაშინ ისინი გამოგზავნიან წარმომადგენლებს რომელიმე დემოკრატიული ორგანიზაციებში არჩეულების მიხედვით. ეს იქნება მხოლოდ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, როცა დამფუძნებელი კრება შესდგება, მაშინ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთა ასეთ წესით მოწვევა საჭირო აღარ იქნება.

**რ. გაბაშვილი** (ნ. დ.) თავის სიტყვაში მოითხოვს ამ კანონ-პროექტის გადადებას. მას მოჰყავს შემდეგი მოსაზრებანი: სხვა ეროვნებათა 26 წარმომადგენელი არ შეიძლება დაშვებულ იქნას საბჭოში. ამ ერთა შორის არიან ისეთები, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობენ და გვებრძვიან, მაგ. სომხები და რუსები. ჩვენს მთავრობას ულტიმატუმს უყენებენ ზოგიერთი ეროვნული საბჭოები, ამიტომ ასეთ დაწესებულებებიდან შეუძლებელია წარმომადგენელთა მოწვევა. არ უნდა იქნენ საბჭოში დაშვებულნი აგრეთვე იმ ერის წარმომადგენელნი, რომელნიც მიღებულ მეტრზე ნაკლები არიან, მაგ. გერმანელების, ებრაელების და ბერძნების. ყველა ამ მოსაზრებების გამო ორატორი საჭიროდ სცნობს უცხო ერების წარმომადგენელთა რიცხვის შემცირებას და მათი (ერების) უფლებათა შეკვეცას და მოითხოვს კანონ-პროექტი ხელახლა გადასასინჯათ დაუბრუნდეს სამანდატო კომისიას.

**დ. ონიაშვილი** (ს.-დ.) სოციალ დემოკრატიული ფრაქცია მოუთმენლად ელოდა ამ კანონ-პროექტის გამოქვეყნებას და მიღებას. მოუთმენლათ იმიტომ, რომ ნაციონალურ საკითხს ასე თუ ისე გადაჭრას, მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ცხოვრებაში ის სახელმწიფოები, რომელნიც ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდენ და აწარმოებდენ ნაციონალურ ჩაგვრის პოლიტიკას, გახდენ ნაციონალური პოლიტიკის მსხვერპლათ. მაგალითისათვის შორს არ წავალ. ავიღოთ თუ გინდ რუსეთი. თქვენ ყველას გახსოვთ ძველი რუსეთის ნაციონალური პოლიტიკა და ის ჩაგვრა, რომელსაც განიცდიდენ ეგრეთ წოდებული „ინოროდცები". სწორედ რუსეთი ამ პოლიტიკის წარმოებამ დაღუპა. ამ საკითხის მოუწესრიგებლობა პარლამენტის ნაყოფიერ მუშაობას ძლიერ უშლის ხელს. ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ ბ. გაბაშვილის წინადადებას. ჩვენი ერი არასოდეს არ გამოსულა მჩაგვრელის როლში და არც [illegible] ამას. ხოლო ბ. გაბაშვილის გამოსვლის შემდეგ, რომელიც მოითხოვს სხვა ეროვნებათა უფლებების შეკვეცას, ეჭვი შემეპარა ამ დებულებაში. მაგრამ საბედნიეროთ ის მიქარვებს ეჭვებს, რომ ბ. გაბაშვილი არ არის ქართველ ხალხის ნების გამომხატველი. ბ. გაბაშვილმა აქ სთქვა, რომ თუმცა პრინციპიალურად მიღებულია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ეროვნულ საბჭოში მიღება, მაგრამ პრინციპი არ გვავალებსო მაინც და მაინც ასე მოვიქცეთო. მე არ მესმის ისეთი პრინციპი, რომელიც კაცს ამა თუ იმ მოქმედებას, ნაბიჯის გადადგმას არ ავალებდეს. გაბაშვილის აზრი კი უპრინციპობას შეიცავს. მეორე მოსაზრება ის იყო, რომ არ შეიძლება ჩვენ დავეყრდნოთ ახალგაზდა მეცნიერთა გამოკვლევას და რადგანაც არ გვაქვს მეცნიერული გამოკვლევა, საჭიროა კანონ-პროექტის გადადებაო. განა ბ. რეზო, თქვენ აქ ზიხართ მეცნიერული გამოკვლევით? ეს ეროვნული საბჭო ხომ სუროგატია? და თუ ეს ასეა (რომ ეს ასე არის, ამის უარყოფა თქვენ არ შეგიძლიათ), მაშინ რა უფლების ძალით ლაპარაკობთ, რომ მეცნიერული გამოკვლევა არ გვაქვს და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების საბჭოში მიღება არ შეიძლებაო? მეცნიერული გამოკვლევით რომ შესდგეს პარლამენტი, მაშინ არ ვიცი თქვენი ფრაქცია როგორ შეიცვლება. თუ მოითხოვთ მეცნიერულ გამოკვლევის საფუძველზე პარლამენტის აშენებას, მაშინ ჯერ თქვენ უნდა გახვიდეთ აქედან და შემდეგ სხვებზე ილაპარაკოთ. ბატონმა გაბაშვილმა აქ პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენს ინტერესებს თუ კვეცავდენ, ჩვენც შევკვეცოთ სხვისი უფლებებიო, ეს შეუწყნარებელი და მიუღებელია. ჩვენ დამოუკიდებლობის აქტში ავღნიშნეთ ჩვენი ეროვნულ უმცირესობასთან დამოკიდებულება, წინააღმდეგ არ შეუძლია მოიქცეს დემოკრატიას. 26 მაისს ყველამ ხელი მოვაწერეთ იმ აქტს და დღემდეც არ მოგვიყვანია სისრულეში. აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას ეს კანონი ცხოვრებაში გატარებული. ამ საკითხის გარშემო დიდი განგაშია ატეხილი პრესაში, მე არ ვამბობ, რომ ამ კანონის განხორციელების შემდეგ ყველა საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები, ჩვენ მოყვრებათ გახდებიან, მაგრამ ჩვენ მათ გამოვაცლით ხელიდან ერთ საგან-

გამო სავან უოველმხრივავემ ჩვენი შეხედულებით ამ კანონპროექტის გადადება ჩვენი დემოკრატიზმისათვის შეუფერებელი და ამიტომ ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს კანონპროექტის განხილვას.

ს. დადიანი (ს. ფ.) ჩვენ ქართველ ხალხს, რომელმაც განიცადა ეროვნული შევიწროება და სამშობლო ჩაგვრა, არ შეგვეშინდება სხვა ერების ჩაგვრაზე ლაპარაკი. ჩვენი ერის შეგნებული პრინციპი და რწმენა არის, რომ ყოველი ერი უნდა იყოს თავის ბატონ პატრონი, თვითონ უნდა განაგებდეს თავის საქმეებს, და თავისუფლად უნდა ცხოვრებდეს. ამ პრინციპის განხორციელებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს ჩვენ ყველა და მთელი სახელმწიფო. [illegible] ეროვნული უმცირესობის [illegible] ერთა თანასწორობის თავისუფლებისაკენ. (გაბაშვილი ადგილიდან: ეს პოეზიაა) დიახ ეს ისეთი პოეზიაა, რომლის გაგება ნაციონალ დემოკრატებს არ შეუძლიანთ. როგორ უნდა იქცეოდეს სახელმწიფო? ამის მაგალითს ინგლისი იძლევა. მაშ ნ როდესაც ინგლისი შეეცდებოდა კანადელების უფლებრივათ შევიწროებას, კანადელები მაშინათვე დამოკიდებულებას სცვლიდენ და ინგლისსთან მტრულ განწყობილებას იკავებდენ, მაგრამ ინგლისმა ამ გარემოებას ალლო აუღო და კანადელთა უფლების შეკვეცას თავი დაანება. დღეს რომ კითხო კანადელს ვისი მოქალაქე ხარო. ის მაშინათვე თამამათ გეტყვის: დიდი ბრიტანეთის ერთგული მოქალაქე ვარო. ჩვენც უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ უცხო ერები ამბობდენ ჩვენზე ისე, როგორც კანადელები ბრიტანეთზე. აქ გაბაშვილი ამბობდა, რომ ეროვნულ უმცირესობათ ბევრი მივეცითო, და ეს არ შეიძლებაო. ჩვენ სიხარულით უნდა ავღნიშნოთ, რომ მათ მიეცათ იმდენზე მეტი, რაც ერგებოდათ. ჩვენი ფრაქცია იღებს რა მხედველობაში საერთოდ პრინციპს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ და არსებულ პოლიტიკურ კონიუქტურას სავსებით მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონ-პროექტს.

რ. გაბაშვილი იცავს თავის წინადადებას.

მ. მანაბელი (ნ. დ.) აღნიშნავს, რომ წარსულში ქართველ ხალხს არავინ არ დაუჩაგრავს, მას სხვები სჩაგრავდენო. ის ერები, რომლებსაც დღეს ჩვენ წარმომადგენლების არჩევის უფლებას ვაძლევთ საქართველოში ქართვების დასაჩაგრავათ იყვნენ ჩამოსახლებულნიო. ორატორი უარყოფს აგრეთვე არჩევნების დროს რელიგიურ პრინციპს და მოითხოვს ქართველ და რუს ებრაელებს ერთად მიეცეს წარმომარგენლობაო. ის მოითხოვს კანონპროექტის ხელახლა კომისიისათვის დაბრუნებას გადასაშინჯავათ.

ი. გობეჩია (ს. რ.) სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია კამათი იმაზე, სამართლიანია თუ არა უმცირესობათა წარმომადგენლების შემოსვლა ეროვნულ საბჭოში. სახელმწიფოებრივობა მოითხოვს, რომ იმ სურროგატმა, რომელიც არის შექმნილი, რაც შეიძლება კარგათ გამოხატოს ხალხის ინტერესები, ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა ეროვნული საბჭო შევსებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. ჩვენ გვიუბნებიან, რომ რადგანაც საჭირო გამოკვლევები და მასალები არა გვაქვს გადავდოთო, განა გადადებული არ იყო ორი კვირით? რაც ამ ორ კვირაში არ გაკეთდა ნუ თუ ამ ახლო მომავალში მოგვარდება? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა. ამიტომ ჩვენი ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონ პროექტს.

მომხსენებე მა შ. მიქელაძემაც დაარღვია თავის უკანასკნელ სიტყვაში ნაც. დემოკრატების ყველა დებულებები.

საბჭო გადადის კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე. კამათი საღამოს 5 საათამდე გაგრძელდა. საბჭოს დარბაზში ქვორუმი არ აღმოჩნდა და ამიტომ თავმჯდომარეს ამ კანონ-პროექტისათვის კენჭი არ უყრია. საკითხი საბოლოოდ შემდეგ სხდომაზე გადაწყდება.

აკ. ს—უა.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

7 სექტემბერი.

**კიევი.** ცარიცინის ფრონტზე ყაზახებმა დაიხიეს. მათ დასტოვეს აგრეთვე სამარის გუბერნია. ბოგუჩარის მიდამოებში (ვორონეჟის გუბ.) წითელი არმიის რაზმი გარეკილ იქნა. დონის ოლქის მეორე ნაწილში ყაზახებმა დაიკავეს სად. რემონტალი.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის მთავრობას დაუპატიმრებია ლონდონში მყოფი რუსეთის ბოლშევიკების წარმომადგენელი ლიტვინოვი. ვიდრე რუსეთში მყოფ ინგლისის ქვეშევრდომთ არ გაანთავისუფლებენ და არ მისცემენ ნებას სამშობლოში დაბრუნებისა, ინგლისის მთავრობა ლიტვინოვს არ გაანთავისუფლებს.

**მოსკოვი.** რუსეთის ელჩს ბერლინში იოფეს. პეტროგრადში, ინგლისის საელჩოში დაპატიმრებულნი შეთქმულთა საშიშარ კატეგორიას ეკუთვნიან. არხანგელის მიმართულებით საბჭოთა ჯარებმა 500 კაცისაგან ინგლისის რაზმს აჯობეს ოდოზერსკაიას ახლოს. ალიათის მიმართულებით საბჭოთა ჯარებმა გაიმარჯვა და დაიკავა სტარაია ბესსი და ბოლშოე ბატირევო (?) ვოლსკის მიმართულებით დაიკავა სამოდუროვკა, აპალიხა და მიროვკა. ნიკოლაევსკის მიმართულებით მტერი იერიშით მოვიდა საბჭოთა ჯარზე, მაგრამ განდევნილ იქნა სვანტეევკამდე, თურქესტანში სასტიკი ბრძოლაა. სამარკანდთან, სადაც თავმოყრილნი არიან ჩეხო-სლოვაკები და თეთრ-გვარდიელები.

**კოვნო.** წინასწარი მუშაობის დამთავრების შემდეგ მომავალი გაზაფხულიდან გადაწყვეტილია შეუდგენ რკინის გზების გაყვანას კურლიანდიაში.

8 სექტემბერი.

**ბერლინი.** იპრის გაღმა ბავარელებმა ტყვეთ წამოიყვანეს 100 კაცი. იპრის სამხრეთით ინგლისელების იერიშები მოვიგერიეთ. სომმაზე და უაზზე მტერი წამოვიდა გამით და შოიწით და საღამოთი ბრძოლა დაიწყო ჩვენს მოწინავე რაზმთან ობლივილეკსე-ომონის ხაზზე. ვოლლის აღმოსავლეთით ბრძოლაა. ფიმის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**ვენა.** აზიაგოს მაღლობიდან იტალიელთა და ფრანგთა იერიშები მოვიგერეთ. მონტე-სიზემოლთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. კოლ-დე-ორსოსთან ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს. ალბანეთის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**ნიკოლაევი.** კიევიდან იუწყებიან— ვინაიდან მოხდა შეთანხმება ყუბანის ატამანსა და ყუბანის მთავრობის შორის ბრძანებაა გაცემული 1918 და 1917 წლის ყაზახების და აგრეთვე 1918 წლის გარეშე მცხოვრებთა მობილიზაციისა. აკრძალულია ადესის ნავთსადგურიდან ყირიმის ნავთსადგურში შესვლა.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ჩვენმა მზვერავებმა ზღვის პირის რაიონიდან ტყვეები წამოიყვანეს. მარცხენა ფრთაზე მტრის ცხენოსან რაზმს დიდი ზარალი მივაყენეთ. იორდანეს აღმოსავლეთით მტრის ცხენოსან რაზმს, რომელიც ჩვენზე იერიშით მოვიდა, უკან დავახევიეთ. დავხოცეთ 70 კაცი. გუჯალ-ბალმ-ვენის ხაზზე მტრის მზვერავები გავრეკეთ.

**პარიზი.** მთელი დღის განმავლობაში საფრანგეთის ჯარები წინ მიიწევდენ სომმისაკენ. ელეტის და ენს შუა ცვლილება არ მომხდარა. ფრანგებმა ჩრდილოეთით წაიწიეს და დაიკავეს სეილ-სიურენი. აქ გერმანელებმა მოიგერიეს ორი ჩვენ მიერ მიტანილი იერიში.

9 სექტემბერი.

**ბერლინი.** პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ინგლისელების და ფრანგების მიერ მოწყობილი შეთქმულობის გამოსაძიებლათ ენერგიული მუშაობა სწარმოებს. შეგროვილია საყურადღებო მასალა. ერთი ინგლისის სახელმწიფო მაღალი თანამდებობის მოღვაწე ახლო კავშირში იყო რუსის უმაღლეს სასულიერო პირთან, აძლევდა ფულებს მილიონობით, რომ მოემზადებიათ შეთქმულობა. შეთქმულობა უნდა დაწყებულიყო აფეთქებით, ხიდების დანგრევით, სხვადასხვა ექსცესებით და სხ.

**ლიონიდან** მოსული რადიო უარყოფს იმ ცნობას, თითქოს ბრესტის ხელშეკრულობაში რაიმე ცვლილება მომხდარიყოს. აღნიშნულია ამ ცნობაში მხოლოდ შემდეგი: ესტლიანდიაში, კურლიანდიაში და ლიფლიანდიაში ურთიერთ შეთანხმების ნიადაგზე უნდა მოხდეს ნაციონალიზაცია. სხვა ცნობები კი გამოგონილია, რომელიც არა გვგონია, ვინმემ დაიჯეროს.

**ბერლინი.** ინგლისის სანაპიროებთან ჩვენმა წყალქვეშ მავალმა ნავებმა ჩასძირეს 18 ათასი ტონის წყალწყვა გემები. მოვიდა თალაათ ფაშა. პეტროგრადში მრავლათ სჯიან სიკვდილით ხალხსა. შეთანხმების სახელმწიფოების წინააღმდეგ ხალხში ძლიერი აღშფოთებაა.

**პეკინი.** ხმის უმეტესობით ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ არჩეულ იქნა შეშუტჩანგი.

**ბერლინი.** ნარკენის აღმოსავლეთით, ბელგიის ხაზიდან დაბრუნებულმა ჩვენი ჯარის ნაწილებმა მოიყვანეს ტყვეები. არმანტიეეის ჩრდილოეთით ინგლისელების მიერ განახლებული იერიშები ჩვენ მოვიგერიეთ. აერონკამბრეს ხაზზე მტერი ცდილობდა ჩვენს პოზიციას მოახლოვებოდა, მაგრამ ჩვენ მათ უკან დავახევინეთ. სომის ორივე ნაპირად გუშინ მტერი ნელის ნაბიჯით მოიწევდა წინ. ენის ჩრდილოეთით საარტილერიო სროლა განახლდა, პრემონტრე ბრანკურის დასავლეთით მტერმა ვერ შესძლო იერიშების მოტანა. ელეტის სამხრეთით მტერი მოუახლოვდა ჩვენს ხაზს. ენისა და ვესლის შუა ბრძოლა რამდენიმეთ შესუსტდა.

**ბერლინი.** გერმანიის სამხედრო ცნობით, გერმანელთა ჯარები ახალ პოზიციებზე დგანან. ინგლისელებს და ფრანგებს ერთი თვის დრო დასჭირდათ დიდის ზარალით, რომ დაეკავებიათ ის ადგილები, რომლებიც გერმანელებმა მაისის გასულს ასე სწრაფად დაიკავეს. ამ მიდამოებში უკან დახევა უვარგისი გზების გამო მეტად საძნელო საქმე იყო. ღამ-ღამობით უკან დახევა მტერს არც კი შეუმჩნევია. ყველაფერი, რასაც კი ჯარისთვის რაიმე ღირებულება ჰქონდა —საბრძოლველი მასალა, სურსათი, ამუნიცია და სხვა თავის დროზე იქნა გამოტანილი. ასე რომ გერმანიის ჯარი იმყოფება ხალხით დასახლებულ ადგილებში, სადაც ყველაფრის შოვნა შეიძლება, ინგლისელები და ფრანგები კი განადგურებულ ადგილებში. ყველა სანგრები აფეთქებულია. რკინის გზებზე ყველა მოწყობილობანი დანგრეულია. დანგრეულია აგრეთვე ყველა ხიდები. იმედი აქვს რა თავისი ძალისა, გერმანიის ჯარი ახალი ბრძოლის მოლოდინშია ამ ჟამად.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია თფილისის სოც. დემ. კომიტეტის სხდომა.**

◆ **დღეს, საღამოს 6 საათზე რკინისგზის სამმართველოს საბჭოს დარბაზში დანიშნულია ამავე სამართველოს ს. დ. პარტიის წევრთა კრება. კრების მიზანია ყრილობის კანდიდატების დასახელება.**

◆ **ტუაფსე.** გენ. ვაშაკიძე ატყობინებს სამხედრო მინისტრს, რომ ჩვენს მოწინავე რაზმს ტუაფსე აუღია.

◆ **ქვეშევრდომობის საკითხი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ბრძანება დაუგზავნა გუბერნიის და ოლქის კომისრებს და საქართველოს რესპუბლიკის ქალაქის თავებს. მთავრობის დადგენილებით გთხოვთ მიიღოთ ზომები, რათა გატარებული იქნას საჩქაროთ ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული კანონი ქვეშევრდომობის შესახებ. მოახდინეთ რეგისტრაცია თქვენ მიერ რწმუნებულ გუბერნიებში, ქალაქებში რესპუბლიკის ყველა ქვეშერდომებისა. მიიღეთ მხედველობაში, რომ ზემოხსენებულ კანონის თანახმათ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებათ ითვლებიან ყველა მოქალაქენი განურჩევლათ ეროვნებისა, რომლებიც მიწერილნი იყვენ ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წ. 19 ივლისამდე და ეს ადმინისტრატიული ერთეული შედის საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში.

◆ **ბრძანება.** საქართველოს გზათა უფროსს და კახეთის რკინის გზის გამგეს. წესიერ პირობათა შესაქმნელად და საქართველოს რესპუბლიკის გზათა მოსაწესრიგებლად ამა თვის 7-ს სა
საქმეთა [illegible]
დროებით [illegible] საქართველოს
პუბლიკის ყველა რკინის გზების ხელმძღვანელობას და ზედამხედველ
ბას. მასვე ენიჭება ადმინისტრატ
და განმკარგულებლობითი ძალის მ
უფლება და პირდაპირ დაექვემდებ
ბიან საქართველოს სახაზინო რკ
გზათა უფროსი და კახეთის რკინის
გამგე, აგრეთვე მხოლოდ ბ ნ ფ
ლაურს ვაკუთვნებ განყოფილებ
უფროსთა თანაშემწეებამდის ყველ
სამსახურეთა მიღების, დანიშვნის
დათხოვნის განსაკუთრებულ უფლ
განყოფილებათა უფროსების თანა
წეები და განყოფილებათა უფრო
მიღებულ და დროებით სამსახურ
დათხოვნილ იქნებიან ბ ნ ფიცხელა
მიერ დაუყონებლივ ჩემს სახელ
წარმოდგენილ შესაფერ მოხსენების
ხედვით. გზათა მინისტრი ლორთ
ფანიძე.

◆ **ახალ სენაკიდან** გვატყობინ
გვარდიელების ახსნა-მოწოდებამ
ხი გამოაფხიზლა. უბრძოლველათ
ნებდენ და ჩააბარეს იარაღი ჯ
უფროსს. ახალი ჯარისკაცები გამო
სამხედრო ბეგრის მოსახდელათ. ხო
საზოგადოებამ მარსელიოზის სიმღ
შეეგება სახალხო გვარდიას.

◆ **სამხედრო მინისტრის განკა**
ლება. სამხედრო მინისტრმა საქართ
ლოს ჯარების ყველა ნაწილების უფ
სებს მოწერილობა დაუგზავნა, რომ
ტიკი ყურადღება მიაქციონ აფიც
მოვალეობის რიგიან ასრულებას,
მელნიც ვალდებულნი არიან ჯარის
ცებთან დღეში ექვსი საათი მაინც
ცადინონ გაწვრთნისა და მომზადე
თვის. აფიცერთა და უფროსთა გ
გრილობა და დაუდევრობა, რომე
მე შემინიშნავს მათში, ხელს უშ
დისციპლინიან არმიის დაჩქარე
შექმნას, რაიც თვით ჩვენი სამშობ
სათვის საზიანოა და ხელს უშლის
აყვავებას.

◆ **ერობის გარშემო.** თფილისის მ
რის აღმასრულებელი კომიტეტის პრე
ზიდიუმი, რომელიც აწარმოებს ერო
არჩევნებს მაზრაში, ამით საყოველთა
აცხადებს, რომ მანგლისის ოლქიდან შ
მოვიდა კანდიდატთა ერთი სია ს
დემოკრატიულ მუშათა პარტიისა
შეთანხმებით სოც. ფედერალისტებ
ქარცივაძე, მიხეილ სოლომონის
აგრონომი, თფილისი, გოგიშვილი, ა
სი გრიგორის ძე, მეურნე, ს. თონ
სტურუა, ისიდორე ივანეს ძე, ინჟინ
(სოც.-ფედერ.) თფილისი, თეზელაშ
ლი ადამ, მეურნე, ს. ღვევი ბორის

# სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია

(ნოე ჟორდანიას მოხსენება).

(დასასრული).

**7) დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოები.**

როგორც ვსთქვი, საქართველოს სახელმწიფო შეიძლება დაფუძნებულ იქნას სამ სოციალურ კლასზე: მუშათა, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის ძალთა ურთიერთ განწყობილებაზე; ორი უკანასკნელი კლასი ჩამორჩენილ გლეხობის გამოკლებით, სცნობს მუშათა დემოკრატიის პოლიტიკურ გეგემონიას და ხელმძღვანელობას. ამ დამოკიდებულების უფლებრივი ნორმებში ჩამოყალიბება ნიშნავს სახელმწიფოს მისცე სათანადო კონსტიტუცია. აქედან დიდი პრობლემა: როგორი ორგანოები უნდა შეიქმნას, რომ ისინი მართლა გამოხატავდენ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას და მას შესაფერ მიმართულებას აძლევდენ. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, როგორ შევკეროთ ისეთი კონსტიტუციონალური ტანისამოსი, რომელიც კარგათ მოადგებოდეს ტანზე არსებულ საზოგადოებრივ სხეულს.

ერთი კი უეჭველია, ეს კონსტიტუცია უნდა იყოს რესპუბლიკანური, დემოკრატიული. მაგრამ რომელი ორგანოები, როგორი ნორმები უზრუნველყოფს ჩვენთვის დემოკრატიულ რესპუბლიკას?

მთელი ძალა უფლება გამოდის ხალხიდან—ეს საერთო მცნებაა ყველა თანამედროვე რესპუბლიკებისათვის. შემდეგ კი იწყება განსხვავებაო, პარლამენტალურ რესპუბლიკას ეს ძალა გამოაქვს ხალხისაგან და შემდეგ აძლევს პარლამენტს, ე. ი. აგროვებს ბურჟუაზიის ხელში, ამით ხალხის სუვერენიტეტს აქცევს გაბატონებულ კლასთა სუვერენიტეტათ. დემოკრატიული რესპუბლიკა არა თუ ღებულობს ხალხისაგან ამ ძალა-უფლებას, არამედ უმეტეს ნაწილს უტოვებს ისევ ხალხს და საშვალებას აძლევს მას მოიხმაროს ის იმ ძალა - უფლებას დამოუკიდებლათ, რომელიც გადაცემული აქვს ცენტრს, ძალა უფლების ასეთი განაწილების დროს, ცენტრალურ მთავრობას არა აქვს საშვალება ცალკე ორგანიზაციულად დაირაზმოს და ის თანდათან უახლოვდება ხალხს და იქცევა სახალხო მთავრობათ.

ერთია ძალა-უფლება—ერთია მისი წარმომშობი წყარო—ხალხი. უკანასკნელი თავის მოწოდებას ანხორციელებს სამი გზით: კანონმდებლობით, ადმინისტრატიული და სასამართლოთი. იქმნება შესაფერი ორგანოები

**ა) საკანონმდებლო ორგანო**

უნიტარულ რესპუბლიკაში საკანონმდებლო ორგანო ერთია, ვინაიდან ერთია ხალხი. საჭიროა თუ არა ამ ორგანოს ქონდეს უზენაესი უფლება? გამოჩენილ სამართლის მცოდნე დაისის სიტყვებით „არ არის მსოფლიოში ისეთი პარლამენტარული საკანონმდებლო ორგანო გარდა ინგლისისა, რომლის ხელში იყოს უზენაესი უფლება. ინგლისის საკანონმდებლო ორგანო არაფრით არ არის შეზღუდული თავის მოქმედებაში, შეუძლია ყველაფერი ქნას ფიზიკურ შესაძლებლობის ფარგლებში, მაშინ, როცა ყველა დანარჩენი პალატები შეზღუდულია კონსტიტუციის სტატუტებით, ე. ი. თითეულ ქვეყანას აქვს კონსტიტუცია, ანუ თავისებური პოლიტიკური წესდება, რომლის თანხმად საკანონმდებლო ორგანო ასრულებს თავის ფუნქციებს. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციის წინააღმდეგ გამოიცა კანონი, ის დაუყონებლივ გაუქმებული იქნება სასამართლოს, ანუ სხვა რომელიმე ძალის მიერ. ინგლისში კონსტიტუცია კანონისაგან განცალკევებულია, ასეთი დაყოფაც აღარ არის. პარლამენტს ყოველ დროს შეუძლია გამოსცეს როგორიც უნდა ისეთი კანონი და არავის არ შეუძლია ეს კანონი გააუქმოს.*) ამიტომ ამბობენ, რომ ინგლისში კონსტიტუცია არ არის დაწერილიო, რადგანაც ის ყოველდღე იცვლება. აქედან აშკარაა, თუ რამდენათ ძლიერია პოლიტიკურათ ინგლისის ბურჟუაზია და აღჭურვილია განუსაზღვრელი პარლამენტარული ძალა - უფლებით, უზენაესობა პარლამენტარულ და ნახევრათ პარლამენტარულ ქვეყნებში შეზღუდულია კონსტიტუციებით, დემოკრატიულ ქვეყნებში კი კონსტიტუციით დ სახალხო კენჭის ყრით (რეფერენდუმით).

ყველაზე დიდი შეზღუდვა, რასაკვირველია, არის რეფერენდუმი, რადგანაც ამ გზით შეიძლება გაუქმება არა თუ ანტი კონსტიტუციურ, არამედ კონსტიტუციურ კანონებისაც. ამ შემთხვევაში სრული ბატონ პატრონია ხალხი.

ამ რიგათ ჩვენ უარვყოფთ რა ინგლისის პარლამენტარულ სისტემას ვდგევართ კანონმდებლობით ორგანოსი შეზღუდვილი უზენაესობის ნიადაგზე, მაგრამ რა ფარგლებში და როგორ შევზღუდოთ ის?

უწინარესს ყოვლისა კონსტიტუციას იმუშავებს სპეციალური (დამფუძნებელი) კრება. შეიძლება ამ კრების უზენაესობის შეზღუდვა? რასაკვირველია შეიძლება.

კონსტიტუციას რატიფიკაცია ხალხმა უნდა გაუკეთოს. ამას ბურჟუაზიაც კი ასრულებდა. შემდეგ ყოველგვარი ცვლილებანი კონსტიტუციაში ძალაში უნდა შევიდეს მის შემდეგ, როცა მას ხალხი მოიწონებს, როგორც ეს ხდება ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ლოღიკურია: თუ კონსტიტუცია მკვიდრდება რეფერენდუმის საშუალებით, მაშინ ყველა შესწორებები და საშუალებებიც რეფერენდუმით უნდა იქნას შეტანილი შემდეგ ჩვენ შევდივართ ძნელ და სადავო უფლებრივ სფეროში: როგორ გავანაწილოთ საკონონმდებლო ძალა უფლება ხალხის და საკანონმდებლო ორგანოს შორის ისე, რომ ხალხმა არ უარყოს პროგრესიული კანონები, როგორც ეს შვეიცარიაში ხანდახან ხდება, ან პროვინციალიზმმა არ ჩაყლაპოს ცენტრი?

მსგავსი შემთხვევები შვეიცარიაში აიხსნება ერთის მხრით შვეიცარიის გლეხობის ჩამორჩენილობით, უძრაობით, რომელსაც არასოდეს არ განუცდია რევოლიუციონური ტალღების გავლენა, მეორეს მხრით კონსერვატიული და ბურჟუაზიული პარტიათა ორგანიზაციულათ მოწყობით, რომელნიც პარლამენტი დემოკრატიის ზეგავლენით ხშირად მხარს უჭერენ კანონებს იმ იმედით, რომ ხალხი უარყოფსო, მესამე—კანონების სირთულით და გაუგებრობით.

ჩვენში, ვინაიდან გლეხობამ რევოლიუციონური ტალღები რამდენიჯერმე განიცადა, ამიტომ მისი ჩამორჩენილობა იმდენად საშიშარი არ იქნება, ხოლო ბურჟუაზიული და კონსერვატიული პარტიები ჩვენში მეტად სუსტნი არიან.

მხოლოდ საკითხის სიძნელე და სირთულეს ჩვენში შეუძლია ითამაშოს უარყოფითი როლი ხმის მიცემის დროს, ვინაიდან ის, რაც არ ესმის კაცს, ის ან უარყოფს ანუ შეუგნებლად ღებულობს გარეშე ძალის გავლენით.

ამიტომ საჭიროა შევჩერდენით 93 წ. კონსტიტუციის კომპრომისებზე. კანონები ზოგიერთ ძირითად საკითხების შესახებ უნდა მიღებულ იქნას რეფერენდუმით (სავალდებულო, ან ფაკულტატიური), დანარჩენ კანონებს სცემს პირდაპირ საკანონმდებლო ორგანო. რეფერენდუმით უნდა გადაჭრილ იქნას ყველა ის საკითხები, რომელსაც კავშირი აქვს ხალხის ჯიბესთან, მაგ. სახელმწიფოს შემოსავალი და გასავალის (გადასახადები სახელმწიფო ქონება, ფულის სისტემა) ომი და ზავის (ომის გამოცხადება) საბაჟო, ვაჭრული ხელშეკრულებების სახალხო განათლების საკითხი (შკოლა). ამ კანონების გამოცემაში ხალხის მონაწილეობას აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. ის აერთიანებს ხალხს სახელმწიფოსთან, აჩვევს და ასწავლის მას რესპუბლიკის დაცვას. ხალხის თანდათან განვითარება ამ გზაზე და გადაქცევა შეგნებულ პოლიტიკურ დემოკრატიათ ათონის დემოკრატიის მზგავსად—ხელს შეუწყობს მთელი საკანონმდებლო ძალა უფლების მის (ხალხის) ხელში გადასვლას, ხოლ ი წარმომადგენლობით დაწესებულება გადაიქცევა ორგანოთ, რომელიც წინასწარ ამზადებს კანონპროექტებს და ხელმძღვანელობს მის ხალხის მიერ კენჭის ყრას.

ერთი სიტყვით, რომ ვსთქვათ ციურიხის კანტონის კონსტიტუციის სიტყვებით: „ხალხი ახორციელებს საკანონმდებლო ძალა უფლებას დეპუტატთა პალატის დახმარებით“. ერთ პალატიანი სისტემის დროს, როგორიც ჩვენშიაც უნდა იქნას მიღებული, რეფერენდუმი მას კონტროლს უკეთებს და პალატას აიძულებს დაკვირვებით და დინჯათ იმუშაოს კანონმდებლობის სფეროში.

**ბ) ადმინისტრატიული ორგანოები.**

ცენტრალური ადმინისტრატიული ორგანო—ეს მინისტრთა კაბინეთია. პარლამენტარული წყობილების დროს სამინისტრო წარმოადგენს პარლამენტის აღმასრულებელ ძალას ე. ი. პარლამენტის დადგენილებანი სისრულეში მოყავს მხოლოდ მინისტრს და მის მოხელეებს.

ეს ერთი დამახასიათებელი თვისებაა, მეორე თვისება კი იმაში მდგომარეობს, რომ სამინისტრო არის პალატის უმრავლესობის ნების გამომხატველი და იცვლება ამ უმრავლესობის შეცვლის მიხედვით. მაშინ, როცა დემოკრატიულ ქვეყნებში სამინისტროს არა აქვს არც ერთი ეს თვისება, ის არ არის კანონების ერთად-ერთი აღმასრულებელი და მას არ აწევს პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. შვეიცარიაში პარლამენტის და ხალხის მიერ გამოცემული კანონები სისრულეში მოჰყავს მოხელეებს, რომელნიც დანიშნული არიან არა ცენტრის მიერ, არამედ კანტონის მიერ. სამინისტროს არა აქვს მოხელეთა აპარატი, მასთან ერთად უმაღლეს ადმინისტრატიულ თანამდებობაზე ზოგიერთ კანტონებში პირები ირჩევიან მოქალაქეთა მიერ და არა ინიშნებიან, მეორეს მხრით მინისტრებს ირჩევს პარლამენტი თავის მოქმედების დაწყების წინ, ისინი არსებობენ შემდეგი პარლამენტის პირველ სხდომამდე, ხოლო ამ უკანასკნელზე ირჩევენ ახალ მინისტრებს (ჩვეულებრივ ძველებს ხელახლა ირჩევენ),—დაისის სიტყვებით ასეთი სამინისტრო შეიძლება განვმარტოთ: „როგორც დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგენილია შვეიცარიის საქმეების მმართველად თანახმად კონსტიტუციის მუხლებისა და პარლამენტის საერთო სურვილისა“. ერთი სიტყვით სამინისტრო—ეს საქმიანი კოლეგიაა, რომელიც შედგენილია გამოცდილი და საქმის მცოდნე ადმინისტრატორებისაგან, რომელნიც აწარმოებენ მხოლოდ ადმინისტრატიულ საქმეებს და არ წარმოადგენენ უმრავლესობის არც მეთაურებს და არც პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეებს. სამინისტროსი, ანუ თვითეული მინისტრის გადაყენება სამსახურის ვადის გასვლამდე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დაარღვია კონსტიტუცია, ან კანონი, მხოლოდ ეს უნდა დაადასტუროს ფედერატიულმა სასამართლომ.

როგორც ხედავთ, დემოკრატიული სამინისტრო არ წარმოადგენს პარლამენტარულ აღმასრულებელ ძალას. რატომ? ცხადია რატომ. თუ კანონმდებელია არა მარტო პალატა, არამედ ხალხიც, ამასთანავე პალატის უმრავლესო
შეიძლება არ წარმოადგენდეს ხალ
უმრავლესობას, ამიტომ ყოვლად შე
ლებელია შეადგინო მინისტრთა კაბი
თი პალატის დეპუტატთა უმრავლესო
საგან, ისე, რომ ეს კაბინეთი არ დაუპ
დაპირდეს მოქალაქეთა უმრავლესობ
შეუძლებელია აგრეთვე კაბინეთი შე
გინო მოქალაქეთა უმრავლესობის მი
ვით, ვინაიდან ეს უმრავლესობა ხასია
დება არა პოლიტიკური ნიშნებით, ა
მედ იმ კანონების ხასიათით, რომელ
სახალხო კენჭის ყრით იქნა მიღებუ
პარლამენტარიზმის გზით რომ წავიდე
მაშინ პარლამენტი უნდა გადადგეს, თ
მის მიერ მიღებული კანონი ხალხ
უარჰყო.

ამ ნაირათ, პარლამენტარიზმი ძირ
თადათ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ
რესპუბლიკის პრინციპებს. მაგრამ რა
უკანასკნელი სიტყვა ხალხს ეკუთვნ
მას შეაქვს ყველგან დემოკრატიულ
მცნებები; მინისტრებს, დეპუტატებს
სხვა ადმინისტრატორებს ხალხი უყუ
რებს არა ისე, როგორც თავის ბატ
ნებს, არამედ ისე, როგორც თავის მ
სამსახურეს, რწმუნებულთ, რომელნი
ვალდებულნი არიან შეასრულონ მი
ბრძანებანი იმ შემთხვევაშიაც, რო
ასეთებს არ ეთანხმებიან ისინი (მინის
რები). აქ პატრონია ხალხი და ის ა
კითხულობს მინისტრებს თანახმა არ
ან თუ არა, ის პირდაპირ უკა
ნახებს მათ თავის ნებას, რომლი
შეუსრულებლობა სისხლის სამართლი
კანონის ძალით ისჯება. ეს დემოკრა
ტიის ბატონობის უმაღლესი ფორმაა
სანამ ხალხი არ ამაღლებულა ამ ფორ
მამდე, მას ძალაუნებურათ უხდება ან
რიში გაუწიოს ყველა სურვილებს
კაპრიზებს ადმინისტრატორებისა, რო
მელნიც მის ბატონათ ხდებიან და არ
მოსამსახურეებათ.

შესაძლებელია თუ არა ჩვენში არ
პარლამენტარული კაბინეთი? ამაზე კა
ტეგორიული პასუხის გაცემა შეუძლებე
ლია, რადგანაც ეს გამოირკვევა დემო
კრატიული კონსტიტუციის პრაქტიკი
დან.

რეფერენდუმის დროს ყველასათვის
ცხადი გახდება, რომ პარლამენტარიზმის
და სახალხო კანონმდებლობის ერთად
მოთავსება ყოვლად შეუძლებელია. მაგ
რამ, როგორც გადასასვლელ საფეხურ
ზე, მე მივუთითებდი ისეთ კაბინეთის
შედგენაზე, სადაც თავმჯდომარე და

*) ის. №№ 184, 185, 192.

*) პარლამენტის ქვეშ იგულისხმება ყველა ის ინსტანციები, რომელთა თანხმობა საჭიროა ინგლისში კანონის გამოსაცემათ—სათემო პალატის, ლორდების პალატის და კორონის.

ძე, პეტრე ივანეს ძე, წარმომადგე-
მიწათა-მოქმ. სამ. მანგლისი, პაპა-
, დავით გრიგოლის ძე, სოფლის
მანგლისი, შამანოვსკი, ვიქტორ
აზარის ძე, სოფლის მუშა, მანგლი-
ტიმოფეევი, არქიფო ნიკოლოზის
ოფლის მუშა, მანგლისი, კეკელიძე,
ო, იურისტი, თფილისი.

✦ **ტრიფონ ჯაფარიძის მოკვლის** ხებ შინაგან საქმეთა მინისტრის თხვაზე, კომისარი დეპეშით ატყო-ბს, ჯაფარიძე მოჰკლეს ხაზურის სარიატის ეზოში 26 აგვისტოს. ელის ორი ამხანაგი გორის ციხეში ნ დატუსაღებულნი. მკვლელი არ ჯერ-ჯერობით შეპყრობილი.

✦ **თფილისის რკინის გზის** სადგუ-გვერდით მალაკნის ქუჩის კუთხეში, ტრონოთ ეგდო დაავადმყოფებული ნ. ამ ჟამად მკვდარი ძაღლების ლე-გამხდარა, არც მცხოვრებლები, არც იცია არავითარ ზომებს არ ღებუ-ბენ.

✦ **დაჭრა.** შაბათს, 7 სექტემბერს თულ კლუბის დარბაზში სალამოს საათზე კლუბის ორ წევრს პოდპ. დ. ელაძეს და დაკ. თულაშვილს ჩხუბი ვიდათ, რომლის დროს თულაშვილი-ან გასროლილ ტყვიით მკერდში ჭრა ალ. ერისთავი.

✦ **რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზო-**გოების ახლად არჩეულ გამგეობის ვლი კრება დანიშნულია დღეს, სა-ოს 7 ს. „სახალხო საქმის“ რედაქ-ში. წევრებს სთხოვენ აუცილებლად ვიდნენ.

✦ **თფილისის 'ქალაქის თვითმარ-**ლობამ სთხოვა მთავრობის თავმჯდო-ეს, დაჩქარებით მოხდენილ იქნას კარგულება, რომ ნავთლუღისა და ეთის რკინის გზის სადგურებზედაც ცილებულ იქნას დადგენილება სა-ოო გადასახადის შესახებ.

✦ **ქართული ენის კურსები.** დ. მაძეს სახალხო განათლების სამინის-ომ ნება დართო გახსნას ქალაქ თფი-სში პრაქტიკული კურსები ქართული სა.

✦ **სახალხო განათლების სამინისტ-**მ წინადადება მისცა თფილისის ქალ-და ვაჟთა სკოლების უფროსებს— უყოვნებლივ წარმოადგინონ ყოველ-რი ცნობა თავისუფალი ადგილების ახებ.

✦ **გაზეთების შეწყვეტა.** დღეს უკა-ნელად იგზავნება გაზეთები სამტრე-აში, რადგანაც იქაურ აგენტს გაზე-ს ფული არ გამოუგზავნია.

✦ **გიჟები.** თფილისის ქუჩებში ხში-რათ შეხვდებით სულით ავადმყოფებს. ზოგიერთები ამოღებული ხმლით დადი-ან, რაც შიშის ზარსა სცემს მცხოვრებ-ლებს. საჭიროა ამას დაუყოვნებლივ მი-ექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

✦ **ლექცია.** დღეს, სამშაბათს 1 რა-იონის მუშათა კლუბში წაიკითხავს ლექ-ციას ქოლერაზე ექიმი ტურიაშვილი. ლექ-ცია განმარტებული იქნება ბუნდოვანი სურათებით. ლექციის შემდეგ იქნება სინემატოგრაფი.

— 1 რაიონის მუშათა კლუბის გამ-გეობამ მიიღო შემოწირულება ვასილ ჩხირაძისაგან ხუთი თუმანი.

✦ **ხოლერა.** მედიკო სანიტარული განყოფილების უფროსის თანაშემწე პრო-ფესორი შირიკოგოროვი, რომელიც წა-სული იყო იმ მიზნით, რომ გამოერკვია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რაიონების სანიტარული მდგომარეობა და ხოლერის წინააღმდეგ ზომები მიე-ღო თფილისს დაბრუნდა. მისი ცნობით ხოლერა შესუსტებულია საქართველოში და არავითარი საშიშროება ამ მხრით არ არის. ბაკურიანშიდაც კი, სადაც ბევრია ლტოლვილები და არა სასურ-ველ გიგიენურ პირობებში იმყოფებიან, უკანასკნელ დღეებში ერთი შემთხვევაც არ ყოფილა ხოლერით ავათმყოფობი-სა..

## პროვინციის ქრონიკა

**ბელაგორის** რაიონში საერობო სა-მაზრო არჩევნები, რომელიც უნდა მომ-ხდარიყო პირველ სექტემბერს, არ შე-სდგა. ამიტომ შორაპნის მაზრის საერო-ბო საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ საერობო არჩევნები მოხდება 15 სექ-ტემბერს.

**ზუგდიდში** ბოლშევიკურ ბრბოებთან შეტაკების დროს, 16 აგვისტოს, დაიჭი-რეს ბრბოს მეთაური ყაჩაღი ოთარ ჩხო-ტუა. ამხ. ვ. ხარატიშვილისაგან მიღე-ბულ ცნობებით, ეს ჩხოტუა გავარდნი-ლია ჩაჩალათ ათ წელზე მეტია. ჩხოტუას ალმოსჩენია სია ას სამოცი კაცისა. ჩხო-ტუამ გადასცა თურმე ამხ. ვ. ხარატი-შვილს შემდეგი: ჩვენ მივდიოდით ანაკ-ლიაში თავზე დასაცემათ, ჩვენთან არი-ან კიდევ მეთაურებათ კვარაცხელია და თოლორაია. ჩხოტუას ცნობებით, ამ ბრბოს ტყვია-წამალს და ფულს აწვდის ცნობილი ა. შერვაშიძე. ამხ. ხარატი-შვილის გადმოცემით, სამეგრელოში პირდაპირ კონტრევოლიუციონერებთან გვაქვს საქმე, რომელთაც სულს უდგამს ა. შერვაშიძე.

## ლეჩხუმის ფრონტი

18 აგვისტოს გორმაღალიდან გაგზავ-ნილ იქნა მზვერავები 29 კაცისაგან შე-მდგარი სოფლებში რაფიჩეთში და ოპიტარაში; რაზმს ხელმძღვანელობდა შტაბს. კაპ. ჟღენტი, სოფლებიდან გაკვ-რით ცნობები მოდიოდა, რომ ისინი წინააღმდეგი არ იქნებიან, თუ მთავრო-ბის ჯარში შემოვა და გაგვაცნობს თა-ვის მოთხოვნილებასო. ამიტომ 18 აგ-ვისტოს სოფლებისაკენ გავემგზავრეთ.

როცა სოფლებს მიუახლოვდით სახ-ლებიდგან გამოცვივდენ და ზოგნი შე-უმჩნევლათ სადღაც გაიპარენ გორაზე, ტყე-ტყე. ეს რომ ჩვენ შევამჩნიეთ, მშვიდობიანობაზე ეჭვი შეგვეპარა. მცხოვ-რებლებს ვუთხარით: თუ რად მირბიან გორაზე ის პირები. მათ გვიპასუხეს, რომ ისინი მწყესებია, თქვენ შიში ნუ გაქვთო. ჩვენი ხელმძღვანელის წინადადებით სოფ-ლელნი შეიკრიბენ და იმსჯელეს საჭი-რო საგნებზე. კრებას დაესწრო უმთავ-რესათ მოხუცებულები. ახალგაზრდობა გამონაკლის შეადგენდა. კრების გათა-ვების შემდეგ, უკან წამოსვლის დროს, მცხოვრებლები ჩვენ არ გვეკარებოდენ— უკან უკან შეუმჩნევლად ჩამორჩენ და როცა ჩვენ განვცალკევდით ხალხიდან და შუა სოფლის გზაზე მოვედით, სოფ-ლის ერთი მაღლობიდან დაგვაყარეს ტყვიები. ამ მოულოდნელმა თავდასხმამ დაგვაბნია, ალაგის მდებარეობაც ხელს არ გვიწყობდა. ჩვენც, რაც შეგვეძლო, სროლითვე ვუპასუხეთ და სოფლიდან გამოსვლას დავუჩქარეთ, მარა მეორე ნა-წილი სოფლის გამოსასვლელ ბოლოზე ყოფილიყო ჩასაფრებული ისეთს ად-გილზე, სადაც შესავლელი გზა არა გვქონდა და აქაც რომ ტყვია დაგვაყა-რეს, ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში ჩა-ვარდით. მტერი უკანიდან და წინიდან გვესროდა. მეტი შველა აღარ იყო, ჩვენ გადავეშვით კლდე-ღრეში, სადაც ჩასვლა დიდათ სახიფათო იყო მწვეტიან კლდე-ზე. ასეთ ადგილზე ფორთხვით და თო-ფის სროლით, წვალებით, როგორც იქნა, გავასწარით გაღმა ფერდოზე. მაგრამ გაღმა ფერდიდან, სადაც ჩვენები თავ-შესაფარად მიძვრებოდენ, მოპირდაპი-რეები ისე დაგვცქეროდენ, როგორც შენობის კედლები ერთმანეთს სწორეთ უმზერს. შეუწყვეტლივ ტყვიას გვაქფრქვე-დენ. ჩვენებმა მაინც შესძლეს გორის გადმოსვლა და თავის შეფარება. მოგვი-კლეს ერთი, მძიმეთ დაიჭრა 1, ისიც იმ ღამესვე გარდაიცვალა. გამოასწრო მსუ-ბუქათ დაჭრილმა დათიკო ჟღენტმა. როცა ჩვენებმა გორა გადმოიარეს, სრო-ლამ იკლო ჩვენი მხრით. იარაღიანი ბრბომ დაბლა ღრეებში გადმოუშვა ყვი-რილით.

მათ ეგონათ, რომ დიდი უმრავლესო-ბა გვარდიელებისა ღრეებშია ჩაჩხულიო, შეკრეს გზები, დააყენეს მცველები.

მთელი ღამის განმავლობაში ფხიზლათ იცავდენ გზებს, მაგრამ ჩვენებმა უკვე გამოასწრეს. მხოლოდ ჩავრჩით ორი ამ-ხანაგი—მე და ნესტორ ურუშაძე. რად-გან ისეთ ადგილზე აღმოვჩნდით, რომ ამოსვლა დიდათ ძნელი შეიქნა, ჩვენს გარშემო სოფლელები დარბოდენ, იგი-ნებოდენ, დაგვეძებდენ შემთხვევით მცვე-ლიც ახლო დააყენეს. ასე რომ ყოველი-ვე მათი დაბალი ხმით ლაპარაკს გარ-კვევით ვისმენდით. მაგრამ ჩვენთან მოსვლა კი აზრათაც არ მოსვლიათ. კარ-გათ დაღამებამდე ასე გვეძებდენ; როცა დაღამდა, ძებნას თავი დაანებეს და გა-აძლიერეს მცველები.

ჩვენ ღამის 12 საათამდე იქ ვიყავით ჩამალული. ღამის 12 საათზე მცველები დაიფანცნენ. ცოტათი მათმა ლაპარაკმა იკლო, მითვლიმეს და ჩვენც ხოხვით გამოსვლას შეუდექით ბედმა გაგვიღიმა, მცველებს გამოვცილდით, ჩვენ გზას არ გავეკარებივართ გორმაღალაზე მოსვლამ-დე. შევეცადეთ გზაზე გამოსვლას. ყო-ველგან მცველები იყვენ და ჩვენ ტყე და ტყე მოგვიხდა სიარული. 7 ვერსი ასე გავიარეთ. მეორე დღეს დიდი ტანჯვა-ვაების შემდეგ მივედით ბინაზე ნაშუადღევის 3 საათზე.

ივაკი გიორგაძე.

15 აგვისტოს მოვიდა მთავრობის ჯა-რი სოფ. პატარა ვანს, (რაჭის მაზრა), კაპ. ნაცვალაძის ხელმძღვანელობით, ჯა-რი დაბინავდა დეგეცხის გორაზე, ეს გორა ზევიდან დაჰყურებს როგორც მახ-ლობელ სოფლებს, ისე მდინარე რიონს გაღმა ქვეშის საზოგადოების სოფლებს და სხვას. პატარა ონის საზოგადოების ხალხი თანაგრძნობით შეხვდა მთავრო-ბის ჯარის მოსვლას. პატარა ონს ეკუთ-ვნის დეგეცხის გორა. გორაზე ძველთა-გან აშენებულია უზარმაზარი ძველი ციხე. მთავრობის ჯარმაც ეს გორა მო-ნახა და გამაგრდა იქ. დაადგეს ტყვიის მფრქვეველები და ქვეშის საზოგადოე-ბის სოფლებს დაუმიზნეს. ყველა ლეჩ-ხუმს წყვეტის: ლეჩხუმმა დაგვღუპაო, მთავრობის ჯარს 150 კაცი ადგილობ-რივი რაზმი მიემატა და რაჭის მხრი-დან ალყა უნდა შემოერტყან ქვეშის საზოგადოებას, რამაც თავზარი დასცა ლეჩხუმის ბრბოებს. კაპ. ნაცვალაძემ სამხრეთიდან მომავალ ჯარების უფ-როსს, პოლ. ზაქარიაძეს ცნობა მისცა, რომ ერთად დაიწყონ შეტევა სამხრეთი-დან და ჩრდილოეთიდან, ე. ი. რაჭის მხრიდან.

16 აგვისტოს სოფ. ქვეშიდან წარუდ-გა დელეგაცია კაპ. ნაცვალაძეს, რომ ქვეშის საზოგადოება ემორჩილება მთავრობას და აასრულებს მის მოთხოვ-ნილებას. იარაღს ჩააბარებს და სხვა, მხოლოდ მეთაურების მიცემის დელეგა-ციას იმედი არა აქვს. კაპ. ნაცვალაძემ უპასუხა დელეგაციას, რომ თუ დიემორ-ჩილებით მთავრობის მოთხოვნილებას და დაიცავთ მშვიდობიანობას, მხოლოდ მაშინ გადარჩება ლეჩხუმი განადგურე-ბასაო; დელეგაციამ თანხმობა განაცხა-და. მხოლოდ ითხოვეს მეორე დღის სა-ღამომდის დროს მიცემა. კაპ. ნაცვალა-ძემ მეორე დღის თორმეტ საათამდი მისცა მათ ვადა იარაღის ჩაბარების.

სოფ. ბაჯის და სოფ. შავრის ბორნები დაკეტილი იყო და ადგილობრივი რაზ-მები იცავდენ, რომ საექველი არავინ გაეშვათ, მხოლოდ ქვეშის საზოგად. სოფლებს ჰქონდათ ნება ჩემორთმეული იარაღები გამოეტანათ და ჩაებარებიათ. იარაღი ჩააბარა: ქვიშნარმა, ქვეშმა, გენდუშმა და ფოშხამმა. ამავე დღეს, მოწვეული იყო პატარა ონის საზოგა-დოების ყრილობა. ყრილობას დაესწრენ გარეშე სოფლებიდანაც. აფიცერმა სურ-გულაძემ გააცნო ყრილობას რაჭა-ლეჩ-ხუმში მთავრობის ჯარების მოსვლის მიზანი. 4 საათზე ამბავი მოუტანეს კაპ. ნაცვალაძეს, რომ სოფ. თაბორიდან (ლეჩხუმის მაზრა) ქარსელაძის რაზმს და ყაჩაღ მორჩაძის ბრბოს შეტაკება აქვსო სოფ. თაბორაში და ბრბო გველის თა-ვისაკენ მოიწევსო სოფელ ქვეშში გადმოსასვლელათო. პოლ. ქარსელა-ძე სთხოვს კაპ. ნაცვალაძეს საჩ-ქარო დახმარებას. ამავე დროს მოდის მეორე ამბავი, რომ ყაჩაღ მორ-ჩაძის ბრბო უკვე გადმოვიდა სოფელ ქვეშში და სოფ. ქვიშნარისკენ მოდის, რომ მდინარე რიონში სოფ. ქვიშნარის ჭალაზე ბორნით უნდა გავიდეს სოფელ ღვარდისკენო. ამ ამბავმა საჩქაროთ აამოძრავა კაპ. ნაცვალაძის ჯარი. შეიქ-ნა სამძარი მზადება, საჩქართ შეგროვ-და სოფ. პატარა-ონის და სოფ. ბაჯის რაზმებიც და მთავრობის რაზმს შეუ-ერთდა. პირველი რიგი სოფ. ბაჯის რაზმმა დაიკავა, მერე მას მოჰყვა მთავ-რობის ჯარი და შემდეგ სოფ. პა-ტარა ონის რაზმი მთელი. ჯარი და ხსენებული რაზმები დეგეცის გორიდან სოფელ ბაჯის ჭალისაკენ დაეშვა, საჩქაროთ სოფელ ქვიშნარის ჭა-ლაზე მდ. რიონზე ბორანები დაიკავა და მთელი მდინარის პირიც გაამაგრეს. ეს იყო 18 აგვისტოს საღამოს 9 საათზე, ამ ღამემ წყნარათ ჩაიარა. მეორე დღეს 19 აგვისტოს კაპ. ნაცვალაძე თავისი ჯარით და სოფ. ბაჯის რაზმით, გაჰყვა ლეჩხუმის მაზრაში სოფ. [illegible] გავიდა და დაბინავდა.

ამავე დღეს 19 აგვისტოს [illegible] იყო ქვეშის საზოგადოების [illegible] ყრილობა, ყრილობას [illegible] დაესწრო, აგრეთვე დაესწრენ ხსენებული საზოგადოების მეამბოხე ბრბოების მე-თაურებიც. მთავრობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა კაპ. ნაცვალაძემ, ხალხს აუხ-სნა ლეჩხუმის მაზრის შემცდარი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. შემდეგ წაიკითხა ქვეშის საზოგადოების ამბოხების მეთაურების სია, აწერილი მეთაურები კაპიტანმა მეორე დღი-სათვის 20 აგვისტოსთვის დაიბარა ჭრე-ბალოს შტაბში ჩვენების ჩამოსართმევათ. ვინც არ გამოცხადდება ჩემთან, ძალით იქნება დაჭერილი და მისი სახლ-კარი კი დაიწვებაო, მეამბოხე ბრბოს მეთაურ-თაგან დ. ფრუიძემ მთავრობის საწი-ნააღმდეგო სიტყვა სთქვა, რის გამოც დააპატიმრეს.

20 აგვისტოს სოფ. ქვეშში და სოფ. ფიაშხაში მდგომ ჯარებმა გველის თავის გადასავლისაკენ გაილაშქრეს ყაჩაღ მორ-ჩაძის წინააღმდეგ, რომელიც სოფ. თა-ბორში თარეშობდა. კაპ. ნაცვლაძის ჯა-რის შიშით მორჩაძე თავის რაზმით გა-იპარა სოფლებიდან და ტყეს შეაფარა თავი. როგორც ამბობენ, ყაჩაღ მორჩა-ძეს ბევრი იარაღი და ნაძარცვი წაუღია სოფლებიდან.

კაპ. ნაცვალაძის ჯარს ლეჩხუმში გზა და გზა ხალხი თეთრი ბაირაღებით ეგე-ბებოდა და რაც იარაღები იყო, მოჰ-ქონდათ და მთავრობას აბარებდენ, მთავრობის ჯარის წესრიგი საუცხოვოთ იყო დაცული, ხალხი გაკვირვებულია, პროვაკატორების გავრცელებული ხმე-ბი ვითომ მთავრობის ჯარი და წითელი გვარდია სოფლებს ანგრევენ, აფუჭებენ და ქალებს ნამუს ხდიანო, ტყუილი გა-მოდგა. ხალხი გახარებულია და ბევრი გლეხი ამბობს: არ გვეგონა თუ ამისთა-ნა კაი მთავრობა გვყავდა, ჩვენ გვეუბ-ნებოდენ, რომ მთავრობა არა გვყავს ეს მთავრობა თავად აზნაურობის არის და ბა-ტონ ყმობა უნდათ შემოიღონო. ახლა ამ მთავრობის ერთგული ვიქნებითო. მეტი წილი გლეხების ამას ამბობს.

დღეს ლეჩხუმის მაზრა აღებულია,მაგ-რამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ხალხის მტრებმა კიდევ არ წამოყონ თა-ვი და არ შეიტანონ ხალხში არევ და-რევა. ბევრს თავზე ხელ აღებულს შეხვ-დები ლეჩხუმში, რომ ამბობს მთავრო-ბის ჯარი სულ ხომ არ მოგიდგებათ და სხვა; საჭიროა არის მთავრობამ მიიღოს შესაფერი ზომები ასეთი პირების ასა-ლაგმავათ. (ს. დ.).

---

ანუ ორი მინისტრი (მაგ., საშინაო საგარეო საქმეთა) იყოს პოლიტი-რათ პასუხისმგებელი, დანარჩენები საქმის ხალხი, რომელნიც გააგრძე-ბენ თავიანთ საქმეებს მაშინაც, რო-პასუხისმგებელ მინისტრების გამოცვ-ხდება.

არა პარლამენტარული კაბინეთი ჯერ დევ არ ნიშნავს დემოკრატიულს, თუ ერთად-ერთი აღმასრულებელია გა-ცემული კანონებისა.

ამ შემთხვევაში ის იმდენათ გაძლიერ-ბა, რომ თავისი მოხელეების საშუა-ებით ხალხს ადვილათ დაიმორჩილებს ამით გააბათილებს, როგორც რეფე-ნდუმს, ისე ხალხის სუვერენიტეტს ამიტომ 93 წლის კონსტიტუცია ამკვი-რებდა ისეთ წესს, რომლის ძალით მინისტრატორებს ირჩევენ მოქალაქე-თავიანთ რწმუნებულთა საშუალებით არა მინისტრები ნიშნავენ.

შვეიცარიაში და ჩრდილოეთ-ამერიკის ერთებულ შტატებში ხალხი პირდა-ირ ირჩევს გუბერნატორებს, პოლიც-ისტრებს და სხვ. მაღალ თანამდებო-ს პირთ, ჩვენ კი იმ პირობებში, რო-ლიც საქართველოშია, ვარჩევთ კონ-ნტის სისტემას. ადმინისტრატორების ირჩევის უფლება უკეთესია მიენიჭოს ერობო და მუნიციპალურ თვითმმარ-თველობებს, რომლებსაც ისინი (ადმი-სტრ.) პირდაპირ ემორჩილებიან, არა-რდაპირ კი ემორჩილებიან მინისტრს, რომელიც თვალყურს ადევნებს მათ მოქ-დებას კანონიერების მხრით.

იტყვიან: მაშინ სამინისტრო ხომ საქმოთ დარჩებაო? არაფერი ამის გვესი. ცენტრალური მთავრობის კონ-როლქციის დროს ჩვენ უნდა ვიხელ-ღვანელოთ ერთი პრინციპით: ეს მთავ-რობა, რაც შეიძლება ნაკლებ მმართვე-ლობდეს ხალხზე და მეტს ნივთებზე, ე. ი. ის უნდა ცდილობდეს სახელმწი-ფოებრივ მეურნეობა მეოჯახეობაზე და ხალხის მატერიალური მდგომარეობის უმჯობესებაზე. მდიდარ კლასთა მის-რაფება ამ დებულებას სავსებით ეწინაღ-მდეგება: მათ აინტერესებს ხალხის მარ-თვა, ე. ი. მისი დამორჩილება სახელ-მწიფო ძალით და სამეურნეო-საოჯახო საქმეების კერძო პირებზე გადაეცემა. პარლამენტარულ ქვეყნებში, თითქმის დემოკრატიულ ამერიკაში სახელმწი-ფოებს ჯერ ვერ მოუხერხებიათ არამც ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება თავის ხელში რკინის გზების აღება ექს-პლოატაცია, ბურჟუაზია კი პრინციპია-ლურად უარყოფს სახელმწიფოებრივ მეურნეობას, რადგანაც მასში სოცია-ლიზმის ჩანასახს ხედავს. არსებული დე-მოკრატიული რესპუბლიკები (შვეიცა-რიაში და ამერიკაში) ამ მუხლში სავსე-ბით ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ იმყო-ფებიან და არ ისახავენ არავითარ სა-მეურნეო მიზნებს, არა აქვთ არავითარი სახელმწიფო უძრავი ქონებანი. ამ შემ-თხვევაში საქართველოს რესპუბლიკა თავის სახელმწიფო ქონების მხრივ, რო-მელიც შესდგება ტყეებისაგან და მამუ-ლებისაგან (და რომელიც უნდა იქნას შევსებული მადნეულობით) წარმოადგენს ბედნიერ გამონაკლისს. არა მქონე და მცირე მქონე კლასების ინტერესები მოითხოვენ, რომ სახელმწიფომ პირველ რიგზე დააყენოს სახელმწიფო მეურნეო-ბის შექმნა, და კულტურული საკითხები ხოლო მეორე რიგზე—ადმინისტრატიუ-ლი-პოლიტიკური საკითხები. რკინის გზები, ტყეები, მამულები, მადნეულობა, ქარხნების ამოშრობა, მედიცინა, სკოლე-ბი, მუშათა დაზღვევა და სხ.—აი ის საგნები, რომელზედაც უნდა ტრიალებ-დეს უმთავრესად მთავრობის მოქმედება, აგრეთვე ყოველნაირად ხელს უნდა უწ-ყობდეს და ეხმარებოდეს საზოგადოებ-რივი ორგანოების ასეთ დაწყებულებას. როცა ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლი-კას ვაშენებთ, ჩვენი უმთავრესი მიზანია სახელმწიფოს გადაქცევა შეძლებისამებრ სამეურნეო საოჯახო ორგანიზაციათ. ასე-თია ჩვენი მიზანი დემოკრატიული რეს-პუბლიკის შენების დროს.

ამ რიგათ, როგორც ჩვენ გავანაწი-ლეთ საკანონმდებლო ძალა პარლამენ-ტისა ხალხს შორის, ასე უნდა გავანა-წილოთ აღმასრულებელი ძალაც მთავ-რობასა და საზოგადოებრივ თვითმარ-თველობათა ორგანოების შორის. ამისა-თვის კი საჭიროა და აუცილებლობას წარმოადგენს ამ უკანასკნელთა არსებობა და მოქმედებაც. მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს საქართველოში ის აუ-ცილებლათ საჭირო საძირკველი, რო-მელზედაც დამყარებულია თანამედროვე სახელმწიფო,—არა გვაქვს კომუნალური თვითმართველობა. ჩვენი სოფლები წარ-მოადგენენ უფორმო, უუფლებო ორგა-ნიზაციებს. მაშასადამე, დღეს უმთავრე-სად ჩვენ უნდა შევუდგეთ კომუნალური ორგანოების შექმნას, ადგილობრივი სა-ხელმწიფო ცენტრის მოწყობას, რის შემდეგ სახელმწიფო საძირკველი ძლიე-რი და შეურყეველი იქნება. საზოგადო-ებრივი ორგანოები თვითმართველობისა სასოფლო სამაზრო, ქალაქთა და მათი კავშირები. ადმინისტრატიული მოღვა-წეობასთან ხელს მოკიდებენ უმთავრე-სად სამეურნეო საკულტურო მუშაობას და მით შეავსებენ და გააგრძელებენ სა-ხელმწიფო სამეურნეო მოქმედებას.

იბადება კითხვა: როგორი უფლებრი-ვი დამოკიდებულება არსებობს მოქალა-ქეთა და ადმინისტრატორებთა შორის? შეუძლია თუ არა მოქალაქეთ სამსახურ-ში დანაშაულის ჩადენის გამო ადმინი-სტრატორები ჩვეულებრივ სამართალში მისცენ?

ყველა პარლამენტარული და ნახევ-რათ პარლამენტარული სახელმწიფოები, ინგლისის გამოკლებით, თავიანთ მოხე-ლეებს უყურებენ, როგორც პირთ, რო-მელთაც აქვთ მინიჭებული მთელი რიგი განსაკუთრებულ უფლებებისა, პრივი-ლეგიებისა და პრეროგატივებისა,—რი-თაც აღჭურვილნი არ არიან უბრალო მოქალაქენი.

და „ჰგონიათ, რომ ამ უფლებათა,უპი-რატესობათა და პრეროგატივების საზო-მი უნდა განისაზღვრებოდეს სხვა გვარი პრინციპებით, ვიდრე განისაზღვრება უფ-ლება და მოვალეობანი ერთი მოქალაქი-სა მეორესთან შედარებით“. (დაისი) ეს უბრალოთ რომ აუხსნათ, ნიშნავს, რომ თანამდებობის პირნი ექვემდებარებიან არა ჩვეულებრივ სასამართლოებს, არა-მედ თავიანთ საკუთარ ეგრედ წოდებულ „ადმინისტრატიულ“ სასამართლოს. ამ მიზნით შექმნილია ადმინისტრატიული უფლებათა მთელი სისტემა, რომელიც ამკვიდრებს მთავრობისაგან დამოკიდე-ბულ ადმინისტრატიულ სასამართლოებს, უკანასკნელებს გადაეცემა გასასამართლებ-ლათ ხოლმე მთავრობის დადგენილებით დამნაშავე თანამდებობის პირები. ამ აღმასრულებელმა ძალამ თავი დაიცვა, აღმართა თავის და ხალხს შორის სიმაგრე და მოიპოვა მასაზე ძლიერი გავლენა. ეს სისტემა პირდაპირ გამომდინარეობს პარლამენტარული წყობილებიდან, ისე, როგორც ეს უფრო მოუხეშავი, ტლანქი სახით გამომდინარეობს თვითმპყრობე-ლური რეჟიმი და იმისაგან, რომ მთელი ძალა უფლება გროვდება ცენტრის ხელ-ში, სისტემა გამოყოფილი ხალხისაგან და მასაზე გაბატონებული. ადმინისტრატი-ული უფლება გულისხმობს მთავრობის და ხალხს შორის ანტოგონიზმის და მტრული განწყობილების არსებობას და ეს უფლება ილებს ყოველგვარ იურიდი-ულ ზომებს, მთავრობის და მის აგენ-ტურის დასაცავად ამ მტრებისაგან.

უფლების ასეთი გაგება ძირიანად ეწინააღმდეგება დემოკრატიული რეს-პუბლიკის პრინციპებს, სადაც მთავრობა და მისი მოხელეები წარმოადგენენ ხალ-ხის მოსამსახურეებს, რომელთაც არა აქვთ არავითარი განსაკუთრებული პრეროგატივები და ემორჩილე-ბიან ჩვეულებრივ სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონს. ყველა პარლა-მენტარული ქვეყნებისაგან მხოლოდ ინგლისმა დააღწია თავი ამ ადმინისტრა-ტიულ უფლებას მოსამართლეთა ძლიერი გავლენის მეოხებით, რომლებმაც ეს ძალა შეიძინეს მთელი საუკუნის გან-მავლობაში მეფესთან და მოქალაქეებთან ერთად, ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლით. აქ ჩვეულებრივ სასამართლოს ექვემდებარება ყველა, დაწყებული მე-ფიდან და გათავებული უბრალო მო-მაკვდავით. თითეულ მოქალაქეს შეუძ-ლია საჩივარი აღძრას სასამართლოს წინაშე თანამდებობის პირის დანაშაუ-ლის შესახებ. მთელი ეს სისტემა მჭიდ-როთ დაკავშირებულია დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებთან და ჩვენ ეს უნდა მივიღოთ.

**ვ) სასამართლოს ორგანოები.**

ადმინისტრაცია თითქმის ყველგან გა-ბატონებულთა ორგანოთ ირიცხება, სა-სამართლო კი ჩაგრულთა ორგანოთ. ეს ორი დაწესებულება მუდამ ცუდ განწყო-ბილებაში იყვნენ ერთმანეთთან და სა-სამართლომ ვერსად ვერ შესძლო—გარ-და ინგლისისა, ადმინისტრაციის და-მორჩილება, რომელიც განცალკევდა მის-გან და საკუთარი სასამართლოები შე-ქმნა. რადგანაც სასამართლო ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც თავშესა-ფარს პოულობენ ყველა სუსტები და დაჩაგრულები, ამიტომ უფლებისათვის მებრძოლებს მთელი ძალ-ღონე იქითკენ უნდა მიემართათ, რომ სასამართლო ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი გაეხადათ და ამ ნაირათ უზრუნველ-ეყოთ ხალხისათვის მინიმალური სამარ-თლიანობა მაინც. სასამართლოს დამოუ-კიდებლობა გადაიქცა მოწინავე საზო-გადოების საერთო მოთხოვნილებათ. აქედან გამომდინარეობს იდეა, რომ მოსამართლენი აღარ უნდა იცვლებო-დენ—ეს მათი ადმინისტრაციისაგან და-მოუკიდებლობის გარანტია იქნება.

მაგრამ, დემოკრატიულ რესპუბლიკაში მდგომარეობა იცვლება და სასამართლო სხვანაირ პირობებში ვარდება. თუ ხალ-ხი ირჩევს მოსამართლეებს, ცხადია ისი-ნი არ შეიძლება დამოკიდებელი იყონ ადმინისტრაციისაგან, ისინი დამოკი-დებული არიან მხოლოდ ხალხისაგან, ამ პირობებში კი სასამართლოს დამოუკი-დებლობა შეიხლება მხოლოდ „გაბატო-ნებულთა“ მოთხოვნილება იყოს.

ამ რიგათ მოსამართლენი არ უნდა იცვლებოდენ და დამოუკიდებელნი უნ-და იყვნენ პარლამენტარულ და ნახევ-რათ პარლამენტარულ ქვეყნებში, ხოლო დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამოკი-დებულიც უნდა იყვნენ და მასთან იც-ვლებოდენ; ხალხი ირჩევს და უკანვე იწვევს თავის არჩეულებს.

ეხლანდელი სასამართლო დანაშაულო-ბის მიხედვით ორ ნაწილათ განიყოფე-ბა: პირადი და სახელმწიფოებრივი ხელ-შეუხებლობას იცავს სისხლის სამართ-ლის სასამართლო საკუთრების და ოჯა-ხის უფლებას—სამოქალაქო სასამართლო. ეს გაყოფა საერთოდ სამართლიანია, თუმცა ის ასე მტკიცეთ არ ხორცი-ელდება. რაც შეეხება პროცესუალურ მხარეს, ეს დემოკრატიული თვალთახე-დვის ისრით კრიტიკას ვერ უძლებს. სის-ხლის სამართლის სასამართლოში და-ზარალებულთა ინტერესების დაცვა სა-ხელმწიფო ხარჯზე ხდება, სამოქალაქო სასამართლოში კი დაზარალებული საქ-მეს თავის ხარჯით აწარმოებს. ასეთი წესი კარგი და მისაწდომია მდიდრები-სათვის, ხოლო ცუდი და მიუწდომელ ღარიბებისათვის. პირველთ ფული აქვთ და შეუძლიათ პროცესი თავისი ხარჯით აწარმოვონ, ხოლო მეორეთ შეძლების უქონლობისა გამო ეს არ შეუძლიათ და ამიტომაა, რომ მდიდრები საქმეს თით-ქმის ყოველთვის იგებენ, ხოლო ღარი-ბები კი აგებენ. ამიტომ საჭიროა და-ზარალებულთა სახელმწიფო ხარჯით და-ცვის პრინციპი მიღებულ იქნას სამოქა-ლაქო პროცესშიაც. ამით შეიძლება შე-ვუმსუბუქოთ სუსტს მდიდართან საჩივრის წარმოება.

რაც შეეხება სასამართლოს ორგანოე-ბის მოწყობას, ჩვენ ამ შემთხვევაშიაც უნდა ვიხმაროთ ძირითადი პრინციპი. ძალა უფლება უნდა განაწილდეს ცენ-ტრის და ხალხს შორის. 93 წ. კონსტი-ტუციის მაგალითით ხალხი თავის რწმუნებულთა საშუალებით (ჩვენში საე-რობო მუნიციპალური ორგანოების სა-შუალებით) ირჩევს მოსამართლეებს რო-გორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამარ-თლის უკანასკნელნი საქმეს არჩევენ ნა-ფიც მსაჯულებთა თანდასწრებით სა-ხელმწიფოს უმაღლესი სასამართლო, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ყველა სასამართლოებს, არჩევს განსაკუთრებულ სერიოზულ და საკასაციო საქმეებს; და როგორც უმაღლესი ინსტანცია, არჩევს კასაციურ საქმეთ და ირჩევა პარლამენტის მიერ როგორც ეს შვეიცარიაშია მიღებუ-ლი ყველა მოსამართლეებს ირჩევენ ვადით. ხელ ახალი არჩევის უფლებას უკიდუ-რეს შემთხვევაში, შესაძლებელია ასეთი კომპრომისის გაკეთება. ხელ მეორეთ არჩეულნი მოსამართლენი, როგორც ხალხის ნდობის მქონებელი, შეიძლება გამოცხადდნენ მუდმივ მოსამართლეებათ.

მაგრამ ეს დროებითი კომპრომისია, რომელიც სრულებით არ გამომდინა-რეობს რესპუბლიკის პრინციპებიდან და ახლო მომავალში უნდა გაუქმებულ იქნას.

მე არაფერი არ მითქვამს ერთ ფრიად ძლიერ დაწესებულებაზე, რომელსაც ყო-ველ გვარი წყობილება და ყოველგვარი თავისუფლება—ეს მუდმივი ჯარია.

ყველა ზემოთ თქმულისაგან ცხადია, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის პრინ-ციპს სულ არ შეეგუება მუდმივი ჯარი და როგორც მსოფლიო ომი გათავდება და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გამოირკვევა, ნეიტრალობის დამკვიდ-რების მაზინათვე ჩვენ გადავალთ სახალ-ხო მილიციის სისტემაზე.

მე გავათავე. როგორც ხედავთ ჩვენს წინაშე სდგას მეტის მეტად ძნელი და რთული კითხვა—უნიტარული დემოკრა-ტიული რესპუბლიკის დაარსება—ესეთი წესწყობილების დაფუძნება და განმტკი-ცება, რომელიც ჯერ-ჯერობით არსად არ განხორციელებულა ამ მიზნის მი-საღწევათ კი საჭიროა ორი პირობა: სა-ქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლო-ბა და ძლიერი დემოკრატიული მთავ-რობა, რომელიც შეძლებს ახალ წყობი-ლების ცხოვრებაში გატარებას. ჩვენმა პარლამენტმა რომ შესძლოს გზის გაკვ-ლევა, გაწმენდა, ყველა დაბრკოლებების ძლევა და დემოკრატიული პოლიტიკური თვითმართველობის დამკვიდრება, ის უნდა იყოს აღჭურვილი კონვენტის ძა-ლა-უფლებით.

და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღ-წიეთ და დავმარცხდით ერთი კი უეჭვე-ლი იქნება და ამას პირუთვნელი ისტო-რია აუცილებლათ იტყვის—ჩვენ მივდი-ოდით სწორე გზით და გავაკეთეთ, რის გაკეთებაც კი შეგვეძლო.

# ამიერ-კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლ. ყრილობა

ყრილობას ხსნის 6 სექტემბერს ქალაქის თავი ნ. ელიავა. წარმომადგენლები გამოუგზავნია 10 ქალაქს. პირველათ ირჩევა კითხვა აქვს თუ არა კრებას უფლება ჩასთვალოს თავის თავი ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა ყრილობათ. ქუთაისის ქალაქის თავს დიმ. კალანდარაშვილს შეაქვს წინადადება დაერქვას ყრილობას საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების სახელწოდება. იაკჯიანი და ხუდადოვი მოითხოვენ ყრილობა გამოცხადდეს კერძო თათბირათ, რადგანაც სხვა რესპუბლიკის ქალაქებიდან წარმომადგენელნი არ არიანო. ორივე წინადადებები კრებამ უარყო. ხმის უმეტესობით გადაწყდა ყრილობა ჩაითვალოს კანონიერათ. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ა. ლომთათიძე, მის ამხანაგებათ კალანდარიშვილი და ზარგარიანი. მდივნათ ყრილობა ირჩევს იანოვიჩს. სამანდატო კომისიაში არჩეული იქნენ ამირხანოვი, რობაქიძე და ხუნდაძე. კრება ისმენს მოხსენებას ქალაქთა წარმომადგენლებისა: მოხსენება გააკეთეს ქუთაისის და თფილისის წარმომადგენლებმა. ორივე მომხსენებლები ვრცლათ შეეხნენ ქალაქების ფინანსიურ მდგომარეობას. დილის კრება ამით დასრულდა. იმავე დღეს სალამოთი კრებამ მოისმინა ფოთის ქალაქის თავი ს. კორძაიას მოხსენება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქალაქს არ შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა, რადგანაც ჯერ იყო და მთელი ჩვენი ენერგია ბათუმის ევაკუაციას მოვანდომეთ, მერე აჟარებელმა ლტოლვილებმა მოიყარეს თავი ქალაქშიო, განზრახულია გავაუმჯობესოთ ქალაქის ელექტრონის სადგური, წყლის სადენი უკეთ მოვაწყოთ და სხ. დიდ ხარჯებს იწევს ფოთის მილიციის შენახვა, რომელიც დაახლოვებით 50,000 მანეთს უდრისო. გორის ქალ. თავი რობაქიძე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქალაქი მთელ თავის ენერგიას ხარჯავდა პურის კრიზისის შესამსუბუქებლათ. ქალაქის შემოსავალი უდრის 150,000 მ. გასავალი კი 500000 მ. აქვსო. ქალ. სოხუმის წარმომადგენელი ფანიევი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკების ავანტიურა უშლიდა ხელს ქალაქს ნორმალურად ემუშავნა. მილიცია, რომელიც ქალაქს უჯდება 17,000 მან. თვეში, არამც თუ არ წარმოადგენს ერთგვარ სამხედრო ძალას, როგორც ეს განზრახული იყო მოგვეწყო, არამედ—ქალაქის დაცვასაც კი ვერ ასდის. ქალაქის საბჭოს საქმეებში ერევა აფხაზთა სახალხო საბჭო, უკანასკნელმა თვითმართველობის დაუკითხავათ მიანდო გენ. მაზნიაშვილს მილიციის რეორგანიზაციის მოწყობა. აგრეთვე გუბერნიის კომისარმა გამოსცა ქალ. სოხუმისთვის სავალდებულო დადგენილება ხოლერასთან ბრძოლის შესახებ. ამგვარად ქალაქის საქმეებში ერევიან სხვადასხვა ორგანიზაციები და ეს კი ხელს უშლის ნაყოფიერ მუშაობასო.

# ჯავშ. მატარებელი № 4

(საზოგადოების საყურადღებოთ).

საოლქო კომიტეტის დავალებით მე მომიხდა სამტრედიაში წასვლა. ჩემი იქ ჩასვლის მეორე დღეს სამტრედიას მოადგა შეუმჩნევლად, ზლოზნით ჯავშნიანი მატარებელი № 4.

როდესაც გავიგე, რომ ჯავშნიან მატარებელ № 4 ხელმძღვანელობს ძმა რევოლიუციის პირველ მეომარის (первый воинъ революціи) ვლად. გოგუაძესი, მე გავეშურე მატარებლისკენ გასაცნობათ ალფესა გოგუაძისა და სამუსაიფოდ რევოლიუციისთვის თავგანწირულ მებრძოლ სახალხო გვარდიელებთან.

თან გამომყვა ამხ. გრ. ც—ძე, რომელიც იცნობდა ალფესას.

ვაგონიდან გამოჩნდა ალფესი. კიდევაც რომ არ ეთქვათ, აი ისაა ალფეს გოგუაძეო, მე ისედაც მივხვდებოდი, რადგან დიდი მგზავსებაა ამ ორ ძმათა შორის. მხოლოდ აფესი უფრო მაღალი და მხარ-მსხვილია. სახე დამშვიდებული და ჩაფიქრებული. გავეცანით. ხელის ჩამორთმევის დროს ტუჩებზე ღიმილმა გაურბინა, რამაც გმირის სახეს მიაღებინა უფრო მიმზიდველი გამომეტყველება.

არ შევკითხებივარ—რისთვის და საით მიდიან. ვიფიქრე; იქნებ საიდუმლოს შეადგენსთქვა.

შემიყვანა ვაგონებში. „აი ამ კუპეში ჩვენ ვმართავთ სამკითხველოსო“. მართლადაც, ორი გვარდიელი ამზადებდა მასალას მაგიდის გასამართავად. ერთი იყო თვით ბიბლიოთეკარი შეშელიძე, სრულიად ახალგაზდა ყმაწვილი, ცოცხალი, ლამაზ სახისა, შეგნებული გამომეტყველობით.

ჩემ შეკითხვაზე გაქვთ თუ არა საკმარისი წიგნები:—მან წამიყვანა მეორე „კუპეში“, სადაც ეწყო რამოდენიმე ათეული წიგნი. „აი ეს შეადგენს ჩვენს სიმდიდრესო“. ძვირად გვიჯდება წიგნების და გაზეთების შეძენაო. ვკრებავთ ჩვენ შორის ვაი ვაგლახით ფულ. ო. თითო ჩვენთაგანს ერთი და იგივე წიგნი რამოდენჯერმე წაკითხული აქვსო. რა ვენათ, რითი გავერთოთ, როდესაც სადმე გაჩერებულნი ვართ უსაქმოთო.

სწორეთ გითხრათ ამ სიტყვებზე და ღარიბ ბიბლიოთეკას დანახვა̄ე გული დამეკოდა.

ეს ჩვენი ახალგაზდობა, ხალხის საუკეთესო შვილები, რომლებიც თავს სდებენ სამშობლოსთვის, რევოლიუციისთვის და ჩვენი ასეთი გულგრილობა და უყურადღებობა.

იარაღ ქვეშ მდგომი გმირები ცდილობენ არ შესწყვიტონ სულიერი კავშირი საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან, იჩენენ ვაი-ვაგლახით წყაროს ამ თავიანთ სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. წყაროს მეტათ სუსტს. ჩვენ კი არ ვაქცევთ ყურადღებას. მე მქონდა თან პ. გელეიშვილის კრიტიკული შრომა „ილია ჭავჭავაძე“. ერთ წუთს გამიძნელდა დამეთმო ეს წიგნი, რადგან სახსოვრათ მქონდა მიღებული თვით ავტორისაგან, მაგრამ მალე ვამჯობინე გვარდიელების ღარიბი ბიბლიოთეკა გამემდიდრებინა გელეიშვილის ფრიად შინაარსიანი წიგნით და შევწირე მათ.

მათ სჭირიათ წიგნები ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიური, სოციოლოგიური და ბელეტრისტიკა.

ყველა ამ წიგნებით ადვილათ შევსებათ ბიბლიოთეკა, თუ ჩვენი საზოგადოება, დაწესებულებები, წიგნთა მაღაზიები, გამომცემლები, კერძო პირები ერთ წამს გაიხსენებენ, რომ შორს, საბრძოლველ ფრონტზე წასულნი ჩვენი საუკეთესო შვილები, როდესაც არ არიან გახვეულნი ბრძოლის ალში, საჭიროებენ კულტურულ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რომელსაც მოკლებულნი არიან უსაქმობის გამო, დარწმუნებული ვარ გაეღვიძებათ გრძნობა მოქალაქობრივი მოვალეობისა ამ გმირთა წინაშე და გაუგზავნიან წიგნებს, ვისაც რამდენი შეუძლიან, შემდეგ მისამართით: „თფილისი, ჯავშნიან მატარებლის უფროს ვლად. გოგუაძეს. სახალხო გვარდიელთა მთავარი შტაბი. მათ აქვთ მუდმივი კავშირი, ამ მისამართით მიიღებენ. მაშ მოქალაქენო, შეასრულეთ თქვენი ვალი, მიაწოდეთ წიგნები!

ქ. კახელი.

# სერაფიონ ჭელიძე

კიდევ ერთი მებრძოლი გამოაკლდა მე 4 ნომერ ჯავშნიან მატარებელს.

მუდამ დაუღალავი, თავისუფლებისა და რევოლიუციის ფხიზელი დარაჯი სერაფიონ ჭელიძე აღარ გვყავს.

დღეიდან მისი გამოცდილი და მრავალ ცეცხლში გამოწრთობილი მარჯვენა ვეღარ აალაპარაკებს ჯავშნიანის ტყვიის მფრქვეველებს, მისებრ გამოცდილს დიდხანს ვეღარ იხილავს.

ვსტირით მისი ამხანაგებიც. ჩვენ დავკარგეთ საუკეთესო მებრძოლთაგანი.

ტყვიის მფრქვეველის „კომანდამ“ დაჰკარგა საუკეთესო ხელმძღვანელ მასწავლებელი.

საბრალო დედამ წელს სამი კუბო იხილა: ქმარი, მას მიჰყვა შვილი, რომლის კუბო ერთი თვე არაა, რაც შენ აუტანე, დღეს კი საბრალო დედა თავის უკანასკნელ იმედის კუბოსაც შენის გვამით მოელის.

როგორ აიტანოს საბრალომ ამდენი სევდა? ისე ჩავა საბრალო სამარეში, რომ ვერც ერთი გულწრფელი ცრემლი მის ობოლ ცხედარს ვერ დაიტირებს.

ვწუხვართ შენს უდროვოთ დაკარგვას შენი ამხანაგები, ამხანაგო სერაფიონ! ვაი, რომ საავადმყოფოს ყრუ კედლებში ამოგხდა სული და არა იქ, სადაც სიკვდილს შენ ყოველთვის შენატროდი. მაგრამ შენ ხომ პირნათლად მოიხადე შენი ვალი. შენ ხომ მუდმივი ძეგლი დაიდგი ჩვენს გულში. მაშ, განისვენე მშვიდათ!

მაგრამ ვით ჰპოვოს სულმან ჩვენმან სიმშვიდე შენის დაკარგვით!..

ჯავშ. მატ. № 4 „კომანდის“ მონდობილობით დ. ბაისოშვილი.

# პროვინცია

**ნიგოითი** (გურია). ამ უმაგალითო ომის ხანაში სოფლად მომხმარებელთა კოოპერატივების დაარსება ერთნაირი მოდა გახდა. არის სოფელი, სადაც კუთხური ქინით ორი კოოპერატივია გახსნილი, მარა სამწუხარო ის არის, რომ ასე ნაჩქარევად კოოპერატივების გამრავლება შეგნებით არ ხდება; თუ მოხერხდა და კოოპერატივი გახსნა სოფლელებმა, მერე ყველაფერს მისგან მოელის, გამოილია რომელიმე საქონელი და ბაზარზე არ იშოვება... კოოპერატივს აბრალებენ, ასე წარმოიდგინეთ, მოუსავლობის გამო რომ სიმინდი არ აქვს ამასაც კოოპერატივს აბრალებს და სხვა... ერთი სიტყვით, როგორც ჩქარა დაეწაფა კოოპერატივს ხალხი, ისე ჩქარა იცრუებენ მასზე გულს, ამის მაგალითები უკვე არის: რომელ სოფელშიაც გნებავთ მიბრძანდით და შეჯგუფულ ხალხში უსათუოდ კოოპერატივის შესახებ უკმაყოფილებას გაიგონებთ და ამის საბუთიც აქვთ მათ: პირველი ისა, რომ კოოპერაციაზე საზოგადოდ და მის მნიშვნელობაზე ცოტა წარმოდგენა აქვთ და მეორედ კოოპერატივების 80 პროცენტი მაინც ანგარიშების წარმოების მხრით ღვთის ანაბარათ არის მიგდებული და წევრმა ამ ანგარიშების შესახებ არაფერი იცის. ეტყვის ვინმე „შეჭამესო“, ისიც იმეორებს და საქმეს კი გულგრილად უყურებს, მართლაც ასეთი კოოპერატივების ანგარიშისას ბევრს ვერაფერს გაიგებთ, მოკლეთ მათი ანგარიშები ასეა: ამდენი ყოფილა და დღეს ამდენი მოიმატა ან მოიკლო, საიდგან ან როგორ რა უნდა ყოფილიყო ამაგიბისას ეშმაკიც ვერაფერს გაიგებს.

ეს უმთავრესად იმის ბრალია, რომ სოფლის მოინტელიგენტო პირები განსაკუთრებით მასწავლებლები კოოპერატივის იდეის გავრცელებაზე, მის ნაყოფიერ ნიადაგის დაყენებაზე ძალიან ცოტას ზრუნავენ და ისიც თითო ოროლა, მაგალითებრ ნიგოითის საზოგადოებაში ვერც ერთი მასწავლებელი ვერ დავითანხმეთ, რომ ქირით კოოპერატივში საქმე ეწარმოებია. მათ მხოლოდ კოოპერატივი შაქრის და სხვა სანოვაგისთვის უნდათ და ამას კი ვერავინ მიასწრებს ისე ჩქარა გაიტანენ, მხოლოდ იმას კი ვერ გრძნობენ, რომ უანგარიშოთ მიგდებული კოოპერატივი ჩქარა დაიხურება და მერე ისევ კერძო ჩარჩების ხელში ვიქნებით. ერთ მაგალითსაც მოგახსენებთ: როდესაც ერთ ერთ კოოპერატივის გამგეს, როდესაც ნიგოითის რაიონის კოოპერატივთა კავშირისაგან საქონელი გაჰქონდა საანგარიშო ფურცელში რაოდენიმე ცალი ჟურნალი „კავშირი“ ჩაუწერეთ, როცა ეს შენიშნა მიუყვირა: „ეს რა ნაგავი ჩაგიწერია შიგო“ და სანამ ამ ჟურნალის ღირებული სხვა საქონელი არ წაიღო, არ მოიშვა. ეს პიროვნება უსწავლელი სოფლის მუშა არ არის და თუ ის ამას სჩადის, რაღა უნდა მოვსთხოვოთ წერა-კითხვის უცოდინარ მუშას!

დაუსრულებელმა ანარქიამ, ომმა შიმშილმა, სოფლის არაქათ გამოლეულ მუშას კოოპერატივი კი არა, ყველაფერი შეაძულა. დაუდგა დრო სოფლის წურბელა ჩარჩ მევახშეებს, კოოპერატივის დაუძინებელ მტრებს, რომ კოოპერატივის წინააღმდეგ იმოქმედონ და ცხადია ასეთ ხელსაყრელ დროს იგინი არ დაკარგვენ. ხალხში უკვე დაიწყეს აგიტაცია: „თუ სასურსათო კომიტეტები და კოოპერატივები არ ყოფილიყვენ და ჩვენდა ხელი არ შეეშალა, ჩვენ სიმინდს მოვიტანდით და 12 მანეთს ზევით არ მოგყიდდითო“. ასევე იუბნებიან ფართლის შესახებაც და სხვა. ცხადია, ამას გასავალი აქვს და თუ დროზე არ იქნა სათანადო ზომები მიღებული, კოოპერატივების უმრავლესობა სოფლად გაქრებიან და ეს იქნება სოფლის ეკონომიურად დაცემაც, ამას ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება 10 სექტემბრის ყრილობის მიერ.

ჩვენი კოოპერატივები კრიზისის ხანაშია და მიშველება უნდა სანამ ეს შესაძლოა.

დიმ. ფირცხალაიშვილი.

**ხად. აშაგა სერალი** (ბორჩალოს მაზრა). ეს სადგური მდებარეობს თფილისიდან 40 ვერსზე. აქ ახლო მახლო მცხოვრებნი უმეტესობა თათრობა არის, რომლებიც გამოურკვეველია ახლანდელი მდგომარეობით. სხვათა შორის, ჯერ არც კი სჯერათ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დარჩებიან. თფილისიდან სადგურ სანაინამდე დღეში ერთხელ დადის მატარებელი. ჟურნალ-გაზეთები არ იშოვება. კვირაში ვიღაც ერთი გამოატარებს და თითო ცალს 1 მანეთად ჰყიდის. საჭიროა დაინიშნოს ამ გზაზე გაზეთების დამტარებლები.

საწყალი მუშა.

**სოფ. ქვემო-ჭალა.** 28 აგვისტოს დადგმულ იქნა სოფ. ქვემო ჭალაში: „ლურჯი ხალათი“, „ძუნწი კარაპეტა“ და „ტიმოთეს ლეღვი“ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ იმავე სცენის სასარგებლოდ. შემოსავალი დარჩა 250—300 მანეთამდე, რაც წვეთია ზღვაში, რომ სცენა სასურველად შეკეთდეს. სცენის მოყვარეთა დასის დავალებით მივმართავ ყველა მოქალაქეთ, ვისაც რით შეუძლია, დაეხმაროს მას ამ ფრიად სასარგებლო საქმის მოწესრიგებაში. შემოწირულება მიიღება ამ მისამართით: სად. კასპი, სოფ. ქვემო-ჭალაში, სამკითხველოს გამგეს ალ. ფრუიძეს (სცენისათვის აღნიშვნით).

სც.-მოყვ. დასის დავ. ალ. ფრუიძე.

**მუხრანი.** 29 აგვისტოს ღამით 3 საათზე ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა სასიკვდილოდ დასჭრეს, წვრილი ცოლშვილის პატრონი გლეხი ზაქარია გიორგის ძე გარანაშვილი. სისხლიდამ დაცლილი 31 აგვისტოს ჩამოიყვანეს ავტომობილით მიხაილოვის საავათმყოფოში, სადაც ის მაშინვე გარდაიცვალა. უდროვოდ დაღუპულ ზაქარიას დარჩა უმწეოთ 4 ბავშვი ერთი-ერთმანეთზე პატარები ცოლის ამარა. ზაქარია 43 წლისა ფხიზელი მომუშავე გლეხი იყო. გარანაშვილს მეზობლები მუდამ პატივისცემით უყურებდნენ.

# ცნობები

ვასილ ილარიონის ძე ჩანტლაძე იყო სადგურ შახტახტში, ამა წლის იანვრის პირველ რიცხვებში ტიფით ავათმყოფი წოლილა სამხედრო 371 ლაზარეთში. მას შემდეგ არაფერი მის შესახებ არ იციან მშობლებმა და ცოლშვილმა. ვსთხოვ ყველას, ვინც კი რაიმე იცის მის შესახებ გვაცნობოს ქვემოთ ნაჩვენებ მისამართით: განსაკუთრებით ვსთხოვ შახტახტის ფოსტის მოხელეს კოლიას (გვარი ვერ გავიგეთ), რომელსაც ახლო ნაცნობობა ჰქონია მასთან, კეთილ ინებოს და გვაცნობოს, თუ რა ბედი ეწია მას. თფილისი, რედაქცია „ერთობა“, ერასტო ჩანტლაძეს.

აზარია ქურხული მსახურობდა ბიძასთან სავაჭროში, ამ ორი თვის წინათ ბიძამ რაღაცაზე გააჯავრა და ბავშვი სადღაც წავიდა. ბიძას ეგონა, თუ სოფელში თავის დედმამასთან წავიდოდაო, მარა დღეს ბავშვს დავეძებთ და არსად სჩანს. ბავშვი არის 12 წლისა, ტანთ აცვია თეთრი ხალათი, გამხდარია. თუ ვინმემ რამე იცის ამ ბავშვის შესახებ სთხოვს მამა მისი მაცნობოს შემდეგი მისამართით: მადათოვის კუნძული (8 რე სამ. უბანი). ძეხვით სავაჭრო ივანე ქურხულს.

# ფონდი

მივიღეთ ივანე გელაშვილისაგან „ერთობის“ სასარგებლოთ 40 მან.

# ფოსტა

**თამარა კალოინს.** მიმდინარე წლის მარტის რიცხვებში მივიღეთ თქვენგან 15 მანეთი, გთხოვთ შეგვატყობინოთ აღნიშნულ ფულის დანიშნულება.

**სუჯაათოვო, მიხეილ ბარბაქაძეს.** მივიღეთ რვა მანეთი, შეგვატყობინეთ მისი დანიშნულება.


სამების (გურია) პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებელში საჭიროა ერთი ქართული ენის მასწავლებელი, ერთი საყოველთაო საგნების და ერთიც ხელსაქმის მასწავლებელი ქალი. თხოვნის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: ნიგოითი-სამება, პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი.

ინსპექტორი სასწავლებლისა ს. ბურჭულაძე.

ქ. ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშების პროფესიონალური კავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ძველი არტელები გაუქმდა და მათ ადგილზე მოქმედებს პროფესიონალური კავშირი, რომლის განკარგულებაში გადადის სამუშაოს მოწესრიგება. ძველი არტელების წევრებს ეცხადებათ, რომ ისინი ვალდებულნი არიან, გარდა ჯარში გაწვეულთა და წითელგვარდიელთა, გამოცხადდენ სამუშაოზე ერთი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ადგილი დაეკარგებათ.

(5—3) კავშირის გამგეობა.

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**

იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ.№ 9-53. (24—16)

**ექიმი ა. ა. მუხაძე**

იღებს სადღ...ტაქრო ავათმყოფთ სადღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ... მთავრის ქ. № 57; აფთ ...ერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—7

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**

(მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმბოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ქალ. ქუთაისში**

(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)

**ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფო სამშობიარო განყოფილებით.**

დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—23)

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**სამკურნალო კაბინეთი**

**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**

**კეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნ[ივერსიტეტის]

**ქ. გოლდფელდი**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის თვალის კლინიკისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა

**თვალის ავათმყოფობანი.** ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 12—2 საათამდე და 4—8 საათამდე. ნიკოლოზის ქ[უჩა] № 32.

**ექიმი ი. გ. ძონიევი.**

იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარ[...] უბნის ქ. № 3. (24—23)

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № [...] ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

**მძ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დ[...] გებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის [ქ.] (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—7[...]

**თფილისის ქალაქის ომში დაშავებულთა დამხმარე კომიტეტი**

აცხადებს ყველა იმ დაშავებულთა საყურადღებოთ, ვინც მიმდინარე წლის 6 [სექ]ტემბრამდე ჩაწერილა კომიტეტში, მობრძანდნენ კომიტეტის გამგეობაში (პა[...]როვის ქუჩა № 10) „სახარჯო წიგნაკების მისაღებათ ყოველ დღე დილის 11—1 საათამდე. წიგნაკების მიღების დაჩქარება საჭიროა, რადგან ახლო მომავალში იწყება პირველ აუცილებელ პროდუქტების დარიგება, დაშავებულნი, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩაწერილა სთხოვენ მობრძანდნენ კომიტ. გამგეობაში ჩასაწერათ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 11—1 საათამდე.

გამგეობა.

**მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსდება მოკლე ვადიანი კურსები ტყის მოხელეთა (ლესნიჩთა) თანაშემწეების მოსამზადებლათ. მეცადინეობა იქნება სა[...]მოობით. პირველი დაჩქარებით სწავლის დამთავრება კურსებზე უნდა მოხდეს [...] თვეში, სწავლის ფასი 300 მანეთია.

კურსებზე მეცადინეობა იქნება შემდეგ საგნებში: ბოტანიკა დენდროლოგიით, ნიადაგის შესწავლა, მეტეროლოგია (მოძღვრება ბუნების მოვლენაზე), [...] ტყეობა, სატყეო ტაკსაცია (ნიხრ დება), სატყეო ტეხნოლოგია, ტყის ავათმყოფობანი და მავნენი, სატყეო კანონმდებლობა და სხვა. კურსებზე მეცადინეობა [და]იწყება 20 სექტემბერს. მსმენელებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებელში პირველ 6 კლასთა დამთავრებულნი და აგრეთვე ყველა ისინი, ვინც თავის მუყაითი გამოცდილი პრაქტიკული მოღვაწეობით სატყეო საქმეში თავი გამოიჩინა და თუ ისე უწყებათა ყურადღება დაიმსახურა. ქართული ენის ცოდნა, როგორც პირის, ისე წერისაც სავალდებულოა. ლექციების კითხვა იქნება რუსულ ენაზე.

თხოვნები (ორ მანეთიანი საღერბო მარკებით) მიიღება ცენტრალურ სა[მამუ]გილ-მამულო თავმჯდომარესთან (პეტროგრადის ქუჩა, № 22).

**ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების**

რაიონულ, ბინისა და სახლის ყველა კომიტეტებმა, რომელთაც სურთ მიიღონ სურსათო განყოფილებისაგან სხვადასხვა პროდუქტები (ფქვილი, ტყავი, მარ[ილი] და სხვ.) უნდა შეიტანონ განყოფილებაში საამისო განცხადება, სათანადო პ[ირე]ბისაგან ხელმოწერილი და ბეჭედ დაკრული, ამავე დროს განცხადება უნდა იყ[ოს] დამტკიცებული ამა თუ იმ უბნის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარისა[გან]. ვინც ასეთ წესრიგს არ დაიცავს, მისი განცხადება არ იქნება კანონიერათ [ცნო]ბილი. ეს წესი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

**თფილისის მთავრობის საშუალო კულტურ-ტეხნიკურ[ი] სასწავლებელში გამოცდები დაიწყება 10 ენკენისთვ[ეს] სწავლა კი 20 ენკენისთვიდან.** (3-[...])

**10 სექტემბერს, დილის 10 საათზე**

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის შენობაში (მიხეილის ქუჩა, 178)

შ ე ს დ გ ე ბ ა

**ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა რწმუნებულების**

**ყრილობა**

დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საერთო მოქმედების შესახებ წარსულ წელ[ს];
2) კავშირის სამოქმედო გეგმა 1918 წ;
3) განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა;
4) განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა;
5) კავშირის რეორგანიზაცია;
6) კოლექტიური ხელშეკრულობის განხილვა;
7) დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა;
8) დამატებითი არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრებისა;
9) დამატებითი არჩევნები მეთვალყურე საბჭოს წევრებისა;

თითოეულ მოკავშირე კოოპერატივს უფლება აქვს გამოგზავნოს ორი წარმომა[დ]გენელი და კიდევ ერთი თუ საერთო წლიური ჯამი მისი კავშირის საშუა[ლე]ბით ნავაჭრისა აღემატება 25,000 მან. ორი წარმომადგენელი, თუ ასეთი აღ[ემა]ტება 50,000 მან. საერთოდ რწმუნებულთა რიცხვი ერთი საზოგადოებისა 4-ს უნდა აღემატებოდეს (წესდ. მუხ. 29).

კრება, თანახმად წესდების მე-33 მუხლისა, კანონიერად ჩაითვლება, მიუხედა[ვად] რწმუნებულთა დამსწრე რიცხვისა.

(3—3) ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.